რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი 22 მაისი 1918 წ. 132

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 102 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 102

## ბალშევიკური რუსეთის საფრთხე

ბალშევიკური რუსეთი აბჯარს იხამს და ამიერ-კავკასიის ხელმეორე დაპყრობისათვის ემზადება. ცრუ კომუნისტებმა სოციალისტური ნიღაბი ჩამოიგლიჯეს, სოციალისტური იდეიები, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი უარყვეს და იმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელება მიზნათ დაისახეს.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ახალი ტიპის „კომუნისტები" უტოპიის ფარგლებში ვერ გაჩერდებიან და ადრე თუ გვიან თავიანთ ნამდვილ სახეს დაგვანახვებენ. წვრილ ბურჟუაზიულ და საშუალო ქვეყანაში ნაადრევათ სოციალიზმის გამოცხადება უსაფუძვლო ოცნება იქნებოდა და ბალშევიკების სოციალისტობა არავის ჯეროდა.

მას შემდეგ, რაც მათმა ლიდერმა ლენინმა მეცნიერულ სოციალისტურ შეხედულებას ზურგი შეაქცია და საქვეყნოთ „სახელმწიფოებრივი სოციალიზმის" იდეია წამოაყენა—ჩვენთვის უკვე აშკარა გახდა, რომ იგი მიზნათ გერმანიის „კათედრ-სოციალისტების" მიზანს დაისახავდა და გერმანიის პროფესორებსავით სახელმწიფოს ტერიტორიებისა და მაზრების გაფართოებას მოითხოვდა. ვინ არ იცის, რომ გერმანიის „კათედრ-სოციალისტები" მთელი ნახევარ საუკუნის განმავლობაში „სახელმწიფოებრივ სოციალიზმს" აწარმოვებენ და მათ ჭეშმარიტ სოციალიზმთან არავითარი კავშირი არ ქონიათ. პირიქით დასახელებულ მიმდინარეობის მეთაურები—ვაგნერ, შმოლერი და სხვები ტიპიური იმპერიალისტები იყვნენ და გერმანიის საგარეო პოლიტიკას იდეიურათ ისინი ამაგრებდენ. აბა სად „სახელმწიფოებრივი სოციალიზმი" და სად თანამედროვე მუშათა კლასის იდეალები! გერმანიის სოციალდემოკრატებმა, „კათედრ-სოციალისტები" საბოლოვოთ დამარხეს და მათ ფართო მასაში ყოველგვარი ნდობა დაუკარგეს.

სამაგიეროთ იგი რუსეთში იდგამს ფეხს და ლენინ-ტროცკის მეთაურობით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის. მას შერე, რაც რუსეთი დანაწილდა და მოსკოვის მრეწველთა კლასებს ქვანახშირის, ლითონის და ნავთის მიდამოები დაეკარგათ, ისინი მძიმე პირობებში ჩაცვივდენ და მათი ეკონომიური ინტერესები საგრძნობლათ დაზიანდა. აუარებელი მიდამოები დაკარგეს, ბაზარი შეუმცირდათ. ამას ზედ დაერთეთ ბალშევიკური ანარქია, რომელმაც მთელი მრეწველობა გაანადგურა და მისი წარმოების ტეხნიკა არარათ გახადა. ასეთ პირობებში მოსკოვისა და საზოგადოთ ბალშევიკურ რუსეთის მრეწველ-კაპიტალისტების გამდიდრების ყნარი დროებით დაეკარგათ. ადრე თუ გვიან ესენი გონს უნდა მოსულიყვნენ და კვლავ საგარეო პოლიტიკა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოეყენებიათ. ამ შემთხვევაში სახალხო კომისრებმა მათი მოსარჩლეობა თავს იდვეს. ლენინი საქვეყნოთ მოითხოვს კავკასიის დაპყრობას და იგი ამ მიზნისათვის უკიდურეს კონტრ-რევოლიუციონერებსაც კი უერთდება.

თავისთავად საგულისხმოა რუსეთის მრეწველები ბაქოს და საზოგადოთ ამიერ-კავკასიის დაკარგვაზე ადვილათ ხელს ვერ აიღებენ და ამიტომაც არიან ისინი ლენინის მეთაურობით ირაზმებიან.

ამ შემთხვევაში ბალშევიკური რუსეთის ამიერ-კავკასიის საზღვრებში შემოჭრა, მათი აქ გაბატონება პოლიტიკურათ და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ დაქვეითება იქნება. ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დაქვეითებული ბალშევიკური რუსეთი ამიერ-კავკასიისათვის ისეთსავე უბედურებათ ჩაითვლება, როგორც დესპოტიური ოსმალეთის აქ გაბატონება.

ვინ არ იცის, რომ დღეს რუსეთის მრეწველობა წარმოების დაბალ საფეხურზე იმყოფება და მისი აქ ეკონომიურათ გაბატონება მთელი ჩვენი მრეწველობა-ალებ მიცემობის დასუსტებას გამოიწვევს. ბალშევიკური რუსეთი, უკეთუ მან აქ ფეხი მოიკიდა, უფრო მეტ საშიშროებათ გადაიქცევა, ვიდრე ძველი რუსეთის ბატონობა. მან ბარბაროსულ ექსპლოატაციასთან ერთად ბარბაროსული პოლიტიკა უნდა განამტკიცოს და ამ სახით ჩვენი მდგომარეობა უფსკრულში ჩაინთქმება.

ბალშევიკების რუსეთის ასეთ პოლიტიკას ამიერ-კავკასიის დემოკრატია ვერ შეურიგდება და უკანასკნელი ისეთსავე წინააღმდეგობას გაუწევს, როგორც ოსმალეთის ჯარზე მომდგარ ძალმომრეობას.

## მუშათა კლასისთვის

ყველაზე მეტი განსაცდელი ამ ჟამათ დემოკრატიას მოელის. რევოლიუციის ხანა,—მისი ბატონობის ხანა იყო, მისი აღფრთოვანების. მომავლის იმედებით გატაცებული, საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალული იგი მთელი თავის ენერგიით ცდილობდა ახალ ცხოვრების შექმნას, ახალი კალაპოტის გაჭედვას თავის მომავალი არსებობისათვის.

ულმობელმა სინამდვილემ, რუსეთის მოუმზადებლობაში ეკონომიურმა მოუმწიფებლობამ და რაც უმთავრესია ევროპის მოწინავე სახელმწიფოებთან შეჯახებამ დალეწა, დაამხო ის შენობა, რომლის აგებას დემოკრატია ასეთი თავგანწირვით შეუდგა ამ ერთი წლის წინეთ.

სტიქიამ, რომელმაც არ იცის პოლიტიკური მოსაზრებები და მიხვეულ-მოხვეული გზები, ერთის დაკვრით გაარღვია დემოკრატიის ფრონტი და ამით საფრთხეში ჩააგდო თვით რუსეთის არსებობა, როგორც სახელმწიფო ერთეულის. ბალშევიკები ამ შემთხვევაში მხოლოდ შეუგნებელი გამომხატველი იყვნენ ამ სისუსტის, დაშლის, დარღვევის. მათ ეს რღვევის პროცესი იდეოლოგიურ სამოსელში გახვიეს, რევოლიუციური ფრაზებით შემოსეს და ასე მეშჩანური, მეწვრიმალური საქმე უკიდურეს სოციალისტების და რევოლიუციონერობის სახელათ გააკეთეს. მარქსისტისთვის საქმის ასეთი დატრიალება მოულოდნელი და გაუგებარი არ უნდა იყოს: ჩვენ ვიცით, რომ იდეოლოგია ეკონომიკაზე შენდება, მარა არა ყოველ წუთს ეთანხმება იდეოლოგიის ფორმა ეკონომიურ საფუძველს. პირიქით იდეოლოგიური ფორმები ხშირათ ერთ და იმავე ეკონომიური მოვლენისათვის სხვადასხვა გვარია. მთელი საქმე იმაშია, რომ იდეოლოგიური საფარის ქვეშ შეიძლებოდეს იმის გაკეთება, რაც ამოძრავებულ მასსას სწადია.

ბალშევიზმმა დღევანდელ რევოლიუციაში ასეთი როლი ითამაშა: მან დემოკრატიზმი დაამხო და წვრილ ბურჟუაზიულ ეკონომიურ და პოლიტიკურ რეაქციას შესაფერი მოქმედების საშვალება მისცა. თავის იდეოლოგიური ფრაზეოლოგიით მან ჩაითრია მოწინავე კლასი—პროლეტარიატი. თავის შინაარსით, პრაქტიკით მან გზა გაუხსნა წარმოების და მეურნეობის წვრილ ბურჟუაზიულ ფორმებში ჩამოსხმას, მსხვილის დანგრევას, არსებულ კონცენტრაციის გაუქმებას, ე. ი. იმას, რაც მუდმივი იდეალი და მისწრაფებაა წვრილ მრეწველობის და საზოგადოთ წვრილ მესაკუთრეების.

ამით აიხსნება გავლენა და გაძლიერება ბალშევიზმის არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც. ამით აიხსნება ისიც, რომ პირველი ამ ბალშევიზმის ბურუსიდან თავისუფლება მუშათა კლასი, იგი ამით შორდება წვრილ ბურჟუაზიულ რადიკალიზმს, რომელიც არსებითათ რეაქციონურ როლს თამაშობს, რადგან რეაქციონური კლასის წიაღიდან გამოდის.

მუშათა კლასი ამით ისევ თავის განსაკუთრებულ კლასობრივ პოზიციას უბრუნდება. მართალია, იგი ჯერ სავსებით ვერ ერკვევა. მას ვერ გაუცალკევებია ის ფორმა, რომელშიაც ბალშევიზმმა ჩამოასხა თავისი თეორია იმ პრაქტიკისაგან, რომელსაც იგი აწარმოებდა. მას ვერ შეუთვისებია ლოღიკური წინააღმდეგობა მარქსიზმისა და სოციალიზმისა, რომლის სახელით ბალშევიზმი ლაპარაკობდა, იმ წვრილ ბურჟუაზიულ პრაქტიკისაგან, რომელსაც იგი ადგა ცხოვრებაში. ამიტომ ბალშევიკური პრაქტიკის და მისი შედეგების უარყოფასთან ერთად იგი ხშირათ იმ თეორიასაც უარყოფით ეკიდება, რომელიც ამ პრაქტიკას ასაბუთებდა. პოლიტიკა—სოციალიზმი, მარქსიზმი, მას მთავარი მიზეზი გონია მისი დამარცხების.

აი ამაშია მთავარი ბოროტება, რომელიც მოუტანა მუშათა კლასს ბალშევიზმმა. მათ შერყვნა მისი გონება, აუბნია მას გზა კვალი და მწარე გაკვეთილიც კი ბალშევიზმთან ერთად უკუ აგდებულათ ხდის თვით სოციალიზმს, ამ მუშათა კლასის წმინდათა წმინდას.

ერთი უკიდურესობიდან მუშათა კლასის დიდი ნაწილი მეორე უკიდურესობაში—აპოლიტიციზმში ვარდება. ამით მზადდება ახალი, ნოყიერი ნიადაგი ყოველგვარი ავანტიურისტული პოლიტიკისათვის. სინდიკალიზმი, დამოუკიდებელი მუშათა პროფესიონალიზმი, პარლამენტარიზმის უარყოფა, ანარქისტული მიდრეკილებანი, ყველა ეს ავადმყოფობანი მოუმწიფებელი მუშათა მოძრაობისა, ახლა აღმოცენდება, როგორც სოკო, ნაწვიმარზე. ნიშნები ამისა უკვე დღესაც ჩანს. მრავალი მსხვერპლის მიტანის შემდეგ, ის იდეიური დამარცხება ყველაზე საგრძნობი იქნება, რადგან ამით მუშათა კლასისთვის უკვე განმზადებულია ახალ ახალი შეცდომები, ახალ-ახალი წაფორხილება და დაცემა იმ ეკლიან გზაზე, რომელიც მას აქვს გასავლელი.

ამრიგათ, ძველი და ნარ-ეკლიანი გზა უძევს წინ პროლეტარიატს. ბევრი შეცდომები და მაშასადამე მსხვერპლი მოელის მას. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ იგი ამ გზასაც გადალახავს, ყველა დაბრკოლებებს სძლევს, ცხოვრების ტრიალში სწორ ხაზს გამოსძებნის. ბოლოს და ბოლოს გამარჯვება ეკუთვნის მარქსიზმს და მუშათა კლასს, მის იდეოლოგიას და მის პრაქტიკას. მუშათა მოძრაობა გაიწმინდება ამ ანარეკლისაგან, ამ შემოტანილ ელემენტებისაგან და წმინდა კლასობრივ ნიადაგზე დამდგარი სწორი გზით გასწევს თავის საბოლოო მიზნის—თავის ისტორიული მისიის შესრულებისაკენ.

რაც უნდა დიდი იყოს დღევანდელი მდგომარეობის სირთულე, რაც უნდა საშინელი იყოს მომავალი თავგადასავალი, რაც უნდა უკუნი ბნელით იყოს მოცული მოზღვავებული რეაქცია, მუშათა კლასს მაინც არ მართებს გულის გატეხა.

რევოლიუციის აღფრთოვანების დღეებში ზედმეტი იყო ილიუზიებით გატაცება; რეაქციის და დამარცხების ხანაში ასევე ზედმეტია დრტვინვა და გულგატეხილობა.

რაც უნდა დიდი [illegible], ისტორიული ნემეზიდის სასწორი მაინც ბოლოს მუშათა მხარეზე გადიხრება, მუშათა მომავალი მაინც უზრუნველყოფილია. მას ოსმალეთის ხიშტი და რუსეთის გახრწნილება ვერ შეაჩერებს. გამარჯვება ბოლოს და ბოლოს მუშათა იდეალების ხვედრია. ამიტომ არც ზედმეტი ოპტიმიზმი გვმართებდა წინეთ, როცა საზეიმოთ გვიწვავდა გული, არც გადამეტებული პესიმიზმი გვმართებს დღეს, როცა გული სამგლოვიაროთ გამზადებულა. ვაჟკაცურ პროლეტართა რაზმს არ შეჰფერის გულის გატეხა და ლაჩრულათ ქედის მოხრა.

ბრძოლა მისი სტიქიაა—გამარჯვება მისი აუცილებელი ბედია. საბოლოო სიტყვა ეკუთვნის მარქსიზმს და მუშათა კლასს.

## ნაციონალ-დემოკრატები მიწის საკითხის შესახებ

რეაქციის მოახლოვებისას სხვადასხვა ჯურის რეაქციონერები, ხალხის მტრები სოროებს სტოვებენ და დღის სინათლეზე გამოდიან. ასე ხდებოდა ყველგან, ასე ხდება ჩვენშიაც.

ჩვენს ქვეყანაში ხალხი შედარებით შეგნებული და გათვითცნობიერებულია, ასე თუ ისე სახალხო ორგანიზაციებში არის დარაზმული. ამიტომ, მიუხედავათ შავრაზმულ მუშაობისა, ჩვენში ანარქიამ ისე ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც სხვაგან. ამას კარგათ ხედავდენ ხალხის მტრები და ხმაამოუღებლივ ელოდენ მოხერხებულ დროს. ეს მოხერხებული დროც, მათის ფიქრით, უკვე დგება. რაც შინაურ ძალებით ვერ შესძლეს რეაქციონერებმა, იმის მიღწევას გარეშე ძალის შემწეობით ფიქრობენ. არავისთვის დასამალი არაა, რომ ჩვენს რევოლიუციას და თავისუფლებას დღეს საფრთხე მოელის არა შინაურ ძალთა განწყობილებისაგან, არამედ გარედან. საერთაშორისო კომბინაცია ჩვენს საწინააღმდეგოთ ეწყობა, ჩვენს ბედს ძლიერი სახელმწიფოები სწყვეტენ უჩვენოთ და ეჭვი არ არის დემოკრატიისათვის მძიმე პირობები იქნება შემუშავებული. ასეთს გარეშე ძალებზე ამყარებენ ჩვენებური ნაციონალისტები თავის იმედებს.

მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერია დემოკრატია. ამიტომ ისინი ნიღაბს იფარებენ და ხალხის მოკეთის როლში გამოდიან. ეროვნულ-დემოკრატების ორგანო „საქართველომ" ამ ბოლო დროს ერთობ მოუხშირა გლეხების სახელით გამოსვლას. ამ რამდენიმე ხნის წინეთ ის მტკიცე მთავრობას გამოესარჩლა და გლეხის სახელით განაცხადა, რომ საჭიროა მთავრობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და სულ ერთია როგორი იქნება ეს მთავრობის შეტარებელი. ახლა „საქართველო" ეხება დღევანდელ საჭირბოროტო საკითხს: აგრარულს.

რაშია საქმე? ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალ-დემოკრატები კერძო საკუთრების „ხელშეუხებლობას" იცავენ. და რადგან მიწების დიდი ნაწილი თავადებს ეკუთვნის, ცხადია, ნაციონალდემოკრატების პროგრამა თავადების საკუთრებას და მათს წოდებრივ უპირატესობებს ეთანაგება. აი ეს პარტია ფიქრობს დღეს გლეხობის ქომაგობას.

მაგრამ რადგან ეს პარტია საკმაოთ სახელგატეხილია ხალხის ფართო მასსის, კერძოთ გლეხობის თვალში, ის ცდილობს ჯერ ხალხის პარტიას, სოციალდემოკრატიას გაუტეხოს სახელი, ცდილობს დაარწმუნოს გლეხობა, რომ მიწის საკითხის გადაჭრაში მას სოციალდემოკრატია ღალატობს.

პირველი ცოდვა სოციალ-დემოკრატიისა გლეხობის წინაშე, ნაციონალდემოკრატების სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გლეხებს თურმე მიწები ვერ მივეცით. ამასვე იმეორებენ სხვათა შორის ბალშევიკებიც.

როგორც ბალშევიკები, ისე ნაციონალდემოკრატები საოცრათ დემაგოგობენ. მაგრამ მათს დემაგოგიას მოკლე ფეხები აქვს. მართალია, ჩვენ ჯერ-ჯერობით არ მოგვიწყვეტია საბოლოვოთ მიწის საკითხი, მაგრამ ამ საკითხის უმთავრესი ნაწილი გადაჭრილია: დღეს მიწები გლეხობის ხელშია და ეს გლეხობა ამუშავებს მას. და არა გვგონია გლეხობას არ ესმოდეს, რომ გვაზავა-ქიქოძეების მათრახიანი პრისტავები არ დაუშვებდენ, მიწების გლეხობაზე გადასვლას, თუ კი ძალა-უფლება მათ ხელში იქნებოდა.

ნაციონალ-დემოკრატებმა ეს კარგათ იციან და ამიტომ სხვა მხრიდან უვლიან საკითხს. აი რას ალაპარაკებს გლეხს „საქართველოს" თანამშრომელი (წერილი „გლეხის ჩივილი"): „ბატონო, თქვენ გეცოდინებათ, რახან თფილისში ბრძანდებით, თუ რას გვპირდებენ ის ჩვენი ამშენებლები: ისინი გვპირდებოდნენ გაკეთებას და მიწების მუქთად დარიგებას, მაგრამ ახლა როგორც ირკვევა, არამც თუ მუქთად მოცემა კი არა—მგონია ჩვენი წვითა და დაგვით ნაშოვნსაც გვართმევენ და ცივ წყალს გვასხამენ თავზე, იმ ჩვენს ნაამაგარზედაც ხელს გვაღებინებენ. ნუ თუ არ იციან რა მოყვება ამას".

რაშია საქმე? ნუ თუ ჩვენ მართლა ხელს ვაღებინებთ გლეხებს მათს ნაშოვნ-ნაამაგარზედ? და რატომ მოხდა, რომ გლეხს სწორეთ ნაციონალ-დემოკრატები ესარჩლებიან, ის ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც გლეხისთვის მათრახებისა და რუსულ გინების გარდა ვერას იმეტებენ? მაგრამ დავუგდოთ ყური ისევ „საქართველოს", მოვისმინოთ, თუ რას გაუბრაზებია ნაციონალდემოკრატების პირით მოლაპარაკე გლეხი: „ჩემს ნაწვავ-ნადაგში" მე იჯარადრად უნდა დამაყენონ და უნდა ვაძლიო იჯარა ვიღაც კომიტეტებს, ისიც ათი იმოდენა, რასაც ჩვენ ვაძლევდით ჩვენს მეზობელ მემამულეებს! განა ის მემამულეები არ გვერჩივნა, რომლიდგანაც იოლათ მივდიოდით, ჩვენი გაჭირვების დროს, როგორც გვინდოდა შინაურულად ვურიგდებოდით ხოლმე! მოუსავლობის დროსაც ჩვენს გარემოებაში შედიოდენ და ახლა კი ათას ბატონებს უნდა ვყმოთ რაღაც კომიტეტების სახით".

ასე კეთილის მყოფელებლათ არიან გამოყვანილი მემამულეები, ხოლო ვიღაც კომიტეტები ხალხის მტრებათ არიან მონათლულნი. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ ნაციონალდემოკრატების პირით ლაპარაკობენ ის მემამულე-გლეხები, რომელთაც მიუხედავათ მათი გლეხური გვარიშვილობისა ბლომათ ჩაუგდიათ მიწები ხელში და ჩამორთმევის წინააღმდეგ არიან. ეს, რასაკვირველია, სრულებით ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ბუნებრივია ის, რომ „საქართველო" თავის მფარველობის ქვეშ ღებულობს ყველა მჭვლეფელებს განურჩევლათ მათი გვარიშვილობისა და წვრილს და საშუალო გლეხობას უპირდაპირებს. ამის წინააღმდეგ ჩვენც არას ვიტყოდით, მაგრამ ნაციონალდემოკრატების აგიტატორ-პროპაგანდისტები დღეს ბალშევიკებთან ერთად სოფელ-სოფელ დადიან და ხალხს მიწის ახალ კანონზე გულს უცრუებენ, ეუბნებიან მიწებს მუქთად გპირდებოდენ ღ დღეს იჯარის გადახდევინებას გპირდებიანო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მავნე დემაგოგების წინააღმდეგ საკმაო არ არის მარტო პროპაგანდის გაწევა. ჩვენმა პროპაგანდისტ აგიტატორებმა უნდა აუხსნან ხალხს, თუ რა დანიშნულება ექნება იმ იჯარას, რომელსაც გლეხები გადაიხდიან: ეს საიჯარო ფული მოხმარდება ისევ სასოფლო საქმეებს—სკოლის და საავათმყოფოების მოწყობას, ხიდეების აშენებას, არხების გაყვანას და სხვ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გლეხობის მოწინავე და შეგნებული ნაწილი გაიგებს, რომ მემამულეებისათვის ღალის ძლევას ისა სჯობია, რომ გლეხებმა მიწაზე განსაზღვრული გადასახადი გაიღონ ისევ თავიანთ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

მაგრამ, ვიმეორებთ, ცარიელი პროპაგანდა არ კმარა. საჭიროა მთავრობის ორგანოებმა სოფლად სასტიკათ ადევნონ თვალყური იმ ბოროტ ადამიანებს, რომელნიც მიწის ახალ კანონის წინააღმდეგ მოქმედებენ და არეულ ცხოვრებას სოფლათ კიდევ უფრო რევენ. არავითარ ლმობიერებას ადგილი არ უნდა ქონდეს ხალხის მტრების ალაგმვის საქმეში.

ნაციონალ-დემოკრატებსაც ნიღაბი უნდა ჩამოვხსნათ და მოვექცეთ ისე, როგორც ხალხის მტრებს ექცევიან.

## პარტიზანული ომი

მკითხველს ეხსომება მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერი სპირიდონოვას მოწოდება რუსეთის გლეხებისადმი არ მიიღონ ბრესტის ხელშეკრულება და აწარმოონ პარტიზანული ომი გერმანიის წინააღმდეგ. ჩვენშიც მოიპოვება პატარა ჯგუფები და წრეები, რომელიც ადგია ასეთ აზრს. ზოგიერთებს ჰგონია, რომ დღევანდელ პირობებში პარტიზანული ომი იმპერიალისტურ ჯარების წინააღმდეგ რევოლიუციონური სიმწიფის მომასწავებელია. ასეთი აზრი არა თუ არსებითად შემცდარია, დღევანდელ პირობებში პარტიზანული გამოსვლა ავანტიურად უნდა ჩაითვალოს. მივმართოთ მაგალითებს. გერმანიის ჯარმა ბელგია დაიპყრო. ბელგიის სოციალისტებს ერთ წუთსაც არ დაუკარგავთ იმედი თავის ქვეყნის განთავისუფლების და შეძლებისამებრ პოლიტიკურ ბრძოლას ეწევიან გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ. იმავე გერმანიის ჯარმა დაიპყრო ჩერნიგოვია. ზოგიერთმა პირებმა იქ შესძლეს რაზმების შედგენა და პარტიზანული გამოსვლები მოაწყვეს. რატომ არ მიმართეს ასეთ საშუალებას ბელგიელებმა? ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ თუ რა ახასიათებს პარტიზანულ გამოსვლებს? მას მეთაურობს ხშირად რომელიმე ჯგუფი. ეს ჯგუფი ანგარიშს არ უწევს ფართო დემოკრატიის სულიერ განწყობილებას და მიუხედავათ ხალხის პასიურ მდგომარეობისა, ფიქრობს თავისი გმირული მოქმედებით ხალხის მაგიერ იმოქმედოს. ხშირათ ასეთ მოქმედებას ხალხისთვის დიდი ვნებაც მოაქვს. რატომ? არის შემთხვევა, როდესაც მტერი თვითონ აწყობს პარტიზანულ გამოსვლებს, რომ ამით საბაბი იშოვნოს და ხალხი გაანადგუროს. ბელგიელები, როგორც დემოკრატიულად უფრო გაწვრთნილნი და პოლიტიკურად მომზადებულნი ამ გზას ვერ დაადგებოდენ. ჩერნიგოველები, როგორც ჩამორჩენილნი და დემოკრატიულად მოუწყობელნი, ადვილად გაებნენ ასეთ მახეში. ამისთანა ბრძოლამ მათ ქვეყანას ვერაფერი ნაყოფი მოუტანა, ხოლო ვნება დიდი მიაყენა. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ეს არის დაინტერესებულ სახელმწიფოების ჩარევა პარტიზანულ რაზმების მოწყობაში. ჩერნიგოვიის პარტიზანული რაზმები მოაწყო ინგლისელებმა. მათთვის ჩერნიგოველ ხალხის ბედი სანაღვლო არ იყო. უნდოდათ შეეწუხებიათ გერმანიის ჯარი. ამ შემთხვევაში პარტიზანები ინგლისელების დავალებას ასრულებდენ და გერმანიის ჯარებს მშვიდობიან მცხოვრებთ აწყვეტინებდენ. რასაკვირველია, უცხოელების ბატონობის წინააღმდეგ დემოკრატიამ უნდა გაილაშქროს. მაგრამ ამ შემთხვევაში მან ისეთი საშუალება უნდა გამონახოს, რომ ხალხისთვის ნათელი იყოს, როგორც ბრძოლის მეთოდები, ისე დასახული პოლიტიკური მიზანი. ასე იქცევიან ბელგიელები, რაც მათი პოლიტიკური სიმწიფის მომასწავებელია.

ბ. თუკლაძე.

[stamp]

# მთავრობის ცნობა

რამდენიმე კვირის წინათ ბალშევიკებმა ხელში ჩაიგდეს სოხუმის ოლქი ქ. სოხუმით, სახალხო გამგებლობის მათთვის ჩვეულ საშუალებით სრული რღვევა და დეზორგანიზაცია გამოიწვიეს, მცხოვრებთ შიშის თავზარი დასცეს და 2 ნახ. მილიონი კონტრიბუცია დაადეს. მთავრობამ რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გადასწყვიტა ბოლო მოუღოს შეუწყნარებელ ანარქიას და პოლკ. კონიევის და სეიმის წევრის ვალ. ჯუღელის უფროსობით გამოწრთობილ წითელგვარდიელთა და სამხედრო ნაწილთა რაზმი, რომელმაც დაამარცხა დიდი წინააღმდეგობის გამწევი მშვენივრათ შეიარაღებული ბალშევიკების ჯარი და ზეიმით სოხუმში შევიდა, სადაც დაუყონებლივ აღდგენილ იქმნა რევოლიუციონური წესრიგი.

იქიდან მოსული ოფიციალური ცნობა გადმოგვცემს იმ აღტაცებას, რომლითაც სოხუმის მცხოვრებლები თავის განმათავისუფლებელ—მთავრობის ჯარს შეხვდა. ჯარს გზადაგზა განუწყვეტლათ ოვაციებს უმართავდენ. ჩვენმა რაზმმა წამოიყვანა 400 ტყვე, 11 ზარბაზანი, ამათში 2—საალყო, 21 ტყვიისმფრქვეველი და დიდძალი ვინტოვკები და ტანისამოსი. ჩვენი გამანადგურებელი № 525 გუდაუთთან დაეწია სოხუმიდან გაქცეულ დიდ ტრანსპორტს, რომელზედაც დიდძალი სურსათი იყო და გაპარული მეამბოხენი იმყოფებოდენ და ტყვეთ წამოიყვანა.

ბალშევიკებისაგან სოხუმის განთავისუფლების შემდეგ შესდგა საზეიმო შეერთებული კრება ქალაქის საბჭოსი, მუშათა და გლეხთა საბჭოსი დ სოციალისტ პარტიების კომიტეტებისა. კრებას დიდძალი გარეშე ხალხი დაესწრო. ერთხმათ მიღებულ იქნა ჩვენი რაზმის მისასალმებელი რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს ამიერ კავკასიის მთავრობის მტკიცე ნაბიჯებს.

———

ოსმალების მიერ გუმბრის აღების და ამას წინათ შექმნილ პირობების შესახებ მთავრობა საჭიროთ სთვლის შემდეგი გამოაცხადოს: 15 მაისს დილის 6 საათზე ბათუმში მყოფ საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელმა ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ხალილ-ბეისაგან მიიღო ნოტა, რომელშიაც ხალილ-ბეი ემყარება ოსმალთა მთავარსარდლის ვეხიბ-მეჰმედის წერილს და აუწყებს, რომ იმავე დილით ოსმალთა სარდლობა იწყობს ჯარის გაყვანას გუმბრ-ჯულფის რკინის გზით, რათა სპარსეთში გადაიყვანოს შემდეგ ინგლისელთა წინააღმდეგ. იმავე დღეს ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარემ ენერგიული პროტესტი განუცხადა ხალილ-ბეის და ფონ-ლოსსოვს მთავრობის სახელით იმ აქტის გამო, რომელმაც შელახა ამიერ-კავ. რესპუბლიკის სუვერენული უფლებები, რომლის დამოუკიდებლობაც ოსმალეთმა აღიარა. ზემოხსენებ ნოტის მიღებისათანავე ოსმალებმა გუმბრის გზით დილის 7 ს. და 15 წ. ოსმალებმა წინსვლა იწყეს, წინასწარ ულტიმატუმი გამოუგზავნეს 3 საათის ვადით და მოითხოვდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ჯარი გამოეყვანათ გუმბრ-ჯულფის გზის აქეთ 25 ვერსით და როგორც ქ. გუმბრი ისე აღნიშნული რკინის გზა ოსმალებს გადაეცეს ომის გათავებამდე.

იმავე დღეს ოსმალებმა გუმბრი აიღეს. შექმნილ მდგომარეობის გამო 17 მაისს ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს ხალილ-ბეის ყურადღება მიაქცია ასეთი აქტის უკიდურეს არასასურველობას და აღნიშნა, რომ ამას შესაძლებელია არასასურველი მძიმე შედეგები მოჰყვეს.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

20 მაისი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ორივე მხრით სიწყნარეა. მხოლოდ ფრონტის ზოგიერთ ადგილებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ჯარდუნის რაიონიდან განდევნილ აჯანყებულებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მათ მოუკლით 200 კაცი, 2 აფიცერი და 14 ტყვეთ წამოვიყვანეთ. ხელში ჩაგვივარდა დიდძალი საკვები და სამხედრო სურსათი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. კემმელის რაიონში საღამოთი და ღამით ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. დღეს დილით ამ რაიონში გაძლიერდა საარტილერიო ბრძოლა. ფრონტის დანარჩენ ადგილებში თოფის ჩვეულებრივი სროლაა. დღეს დილით ავრის სამხრეთ ნაპირად ინგლისელებმა დიდი ძალებით იერიში მოიტანეს ჩვენზე. ნელლი-სიურ ანკრთან მათ შესძლეს ჩვენი ზოგიერთი სანგრების დაკავება, მაგრამ მტრის შემდეგი წინსვლა შეჩერებულ იქნა. მტერი რამდენიმეჯერ შეეცადა მორლანკურის სოფლის დაპყრობას, მაგრამ ვერ შესძლო. ფრონტის ბევრ ადგილებში გამოჩნდენ ინგლისელებისა და ფრანგების მზვერავები, რომლებიც სად. მიხიელისკენ გავრეკეთ, მზვერავთა მოქმედების დროს ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

გუშინ ღამით ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაჰყარეს ლონდონში, დოვერში და სხვა ზღვის პირად მდებარე ქალაქებში.

**ვენა.** სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ქვეითი და საჰაეროვნო დაზვერვა სწარმოებდა.

**ბერლინი.** კემმელის რაიონში ფრანგების ძლიერი იერიშები მოვაგერიეთ. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ.

# კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

19 მაისი.

შავი ზღვის პირის რაიონში დროებით ზავი არ დარღვეულა. ახალციხის რაიონიდან მოხსენება არ მოსულა. ალექსანდროპოლის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

# ახალი ამბები

**მთავრობის სხდომაზე** 21 მაისს დამტკიცებულ იქნა მთავრობის საქმეთა სამმართველოს მოსამსახურეთა შტატი. მინისტრების ჯამაგირების შესახებ დაადგინეს ეთხოვოს სეიმს მალე შეიმუშავოს ამის ნორმა. დაადგინეს გაუქმდეს მცირე საბჭო. მიღებულ იქნა სამხედრო მინისტრის პროექტი ეროვნულ სამხედრო ნაწილების შემცირების შესახებ. ვინოგრადოვის ტეხნიკურ სასწავლებლისთვის გადაიდო 60,000 მანეთი.

— საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ბათუმში რკინის გზით მოძრაობა კერძო პირთათვის ახლო ხანში არ გაიხსნება.

◆ **სპარსელი ქურთები** სად. შახტატთან თავს დაესხენ დელეგატთა მატარებელს, თავდასხმას ძარცვა-მკვლელობა მოჰყვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ამის გამო კავკასიაში მყოფ სპარსეთის ელჩს მიმართა და სთხოვა მიიღოს მან საჭირო ზომები ქურთების ასალაგმავათ.

◆ **ღვინის გასაყიდი** ადგილების გამრავლება აქვს აზრათ ქალაქის გამგეობას. გამგეობის აზრით ასეთი ზომა ხელს შეუშლის ფარულად მაგარი სასმელებით ვაჭრობას და ქალაქის შემოსავალიც მოიმატებსო.

◆ **გერმანიის სამხედრო შტაბის** წარმომადგენელმა ობერ-ლეიტენანტმა კაიზერმა წინადადება მისცა თფილისში მცხოვრებ გერმანელებს 17—45 წლამდე გამოცხადდენ მათთან გერმანიის საელჩოში.

◆ **მიწათმოქმედების სამინისტრომ** განმარტა, რომ იმ მიწის ფონდის გადიდება, კანონში აღნიშნულ ნორმამდე, რომელიც მეპატრონეს რჩება საგუბერნიო, საოლქო კომიტეტების ან მათი რწმუნებული მიმღები კომისიის საქმეა სამინისტროს რწმუნებულთან შეთანხმებით. ნორმის გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მიწის ფონდი თავისუფალი აღმოჩნდება. თელავის მაზრაში ცნობილ იქნა წინანდალის, ნაპერეულის და კერძო პირთა ხუთი მამული (ვენახბაღები) განსაკუთრებულის ღირებულების ქონებათ.

◆ **ქართველ მასწავლებელთა** კავშირის წევრთა წლიური კრება დანიშნულია მაისის 27, ხუთშაბათს, 10 საათზე, ქართულ გიმნაზიაში. განსახილველია: წლიური ანგარიში, მომავალი სახე კავშირისა და წესდების შეცვლა. დასწრება აუცილებელია ყველა ქართველ მასწავლებელთათვის.

◆ **სპარსეთში.** ამიერ კავკასიის დეპ. სააგენტოს მიერ კერძო ცნობების თანახმად თეირანში სამინისტრო გადამდგარა. ახალი კაბინეტის შედგენა მიუნდვიათ ინგლისელების მომხრე ფერმან ფერმასთვის. ხალხს აჯანყება მოუხდენია შიმშილობის ნიადაგზე. დამწვარა დიდი ბაზარი. ქურთთა ბრბოებს თავრიზი დაუკავებიათ, საიდანაც ქრისტიანი მცხოვრებნი გაქცეულან. ქამადანში და ყაზვინში მყოფი ინგლისის ჯარი თავრიზისაკენ დაძრულა.

◆ **სოხუმიდან** 20 მაისს ქუთაისის გუბერნიის ალმ. კომიტეტის რწმუნებულმა გამსახურდიამ შინაგან საქმეთა მინისტრს შეატყობინა: დღეს აფხაზთა სახალხო საბჭომ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: კატეგორიულად იქნეს განმეორებული აფხაზების გლეხთა საბჭოს მიერ რამდენჯერმე მიღებული გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთი შედის როგორც სწორუფლებიანი წევრი ერთა მთლიან ოჯახში, რაზედაც უნდა ეცნობოს ბათუმის საზავო დელეგაციას; აფხაზეთს ევალება ჩიოლოს მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. გაცნობებთ რა ამას გთხოვთ ბათუმში წასვლის ნება მისცეთ. ჩვენ ხვალ გამოვდივართ დილის 8 საათზე ფოთით.

◆ **ახალ სრულ უფლებიან** ქართულ გიმნაზიაში ორთავე სქესის ყმაწვილთათვის მისაღები გამოცდა მოხდება 23, 24 და 25 მაისს 3 საათ. 5 საათამდე. არაგვის ქუჩა, სიმონოვის სახლი № 2.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს შვიდ საათზე, [illegible] უბნის მუშათა კლუბში რაფიელ ჩიხლაძე წაიკითხავს ლექციას თანამედროვე მომენტზე.

◆ **სპარსეთიდან** ჩამოსულ სომხების სიტყვით ოსმალთა ჯარს თავრიზი აუღია. ქრისტიანი მცხოვრებლები ქალაქიდან წინდაწინვე გასულან. ინგლისელებს აუღიათ ქერმანშაჰი, ქამადანი და ყაზბინი.

◆ **მზრუნველობის სამინისტროს** განზრახული აქვს ამიერ-კავკასიის საზებიო ინსტიტუტი ქალთა საშვალო გიმნაზიად გადააკეთოს. პროექტის შესამუშავებლად არჩეულია საგანგებო კომისია.

◆ **გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტი** [illegible] [illegible] სახარგ [illegible] კანტორა „განათლება“-ში ოლღას ქ. № 6. კომიტეტი [illegible] ყველ[illegible] და ჩქარონ ფულის შემოტანა.

◆ **ალექსანდროპოლში** ოსმალებს როგორც თფილისში ცნობა მოვიდა, ქალაქის საბჭოს მაგივრათ მოუწვევიათ მეჯლისი ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან შემდგარი ყოველთვიურ ჟურნალის „მურჩი“-ს („ჩაქუჩ“) რედაქტორის ლევან სარქისიანის თავმჯდომარეობით.

**კრებები და მიტინგები.**

ოთხშაბათს, 22 მაისს, საღამოს 7 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში შესდგა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

— დღეს მუშათა კლუბში (მიხეილის პრ. № 65) ლექცია: „რევოლიუცია და ევოლიუცია“. ხვალ, 23 მაისს, კინემატოგრაფი.

— დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება (უდელნის ქუჩა, № 3). ამხანაგებს ვსთხოვთ არ დაიგვიანონ.

— 23 მაისს, დღის 12 საათზე ძმ. ეფიმოვის ცირკში (მიხეილის პრ.) დანიშნულია საერთო კრება თფილისის სოციალ-დემოკრატ (მენშევიკების) მილიციონერთა.

— კვირას, 26 მაისს, დილის 10 საათზე, ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების კანცელარიაში დანიშნულია თფილისში არსებული ქ. შ. წ. წ.-კ. საზ. ბიბლიოთეკების (ვერის, ავლაბრის, დიდუბის, კუკიის, ნაძალადევის, ნავთლუღის) სამზრუნველო კომიტეტების წარმომადგენელთა და გამგეთა კრება. განსახილველი საგნები: ბიბლიოთეკების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ბიბლიოთეკების გამგებლობის სასურველი ორგანიზაცია. დასწრება აუცილებელია.

# პროვინციის ქრონიკა

**დ. ჩხარში** ბნელი ძალების სათარეშო ადგილათ გამხდარა. ბაზარში ყოველი მხრიდან თოფის სროლა მოისმის. ისვრიან მილიციონერებიც. ზოგჯერ 200 ტყვიაზე მეტს სწვავენ. ადგილობრივი მთავრობა ამ მოვლენას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

**სუფსა.** 7 მაისს სუფსის რაიონის სამხედრო შტაბმა ფრონტიდან გამოპარულ ჯარის-კაცებს იარაღი აჰყარა და ეტაპით გაგზავნა ფრონტზე ჯარის უფროსთან. იმ დროს, როდესაც მატარებლის ვაგონში შეყავდათ დატუსაღებულები მორთეს ყვირილი ჯარის-კაცებმა ვანო კომახიძემ და იესე მეავანაძემ, დაჟინებით მოითხოვდენ დატუსაღებულ ჯარის-კაცების განთავისუფლებას და იარაღის ჩაბარებას მათთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის ღვრით იმუქრებოდენ. რომ მათმა ასეთმა სამარცხვინო მოქმედებამ არ გასჭრა, მაშინ მოუწოდეს მატარებელში მყოფ ჯარის-კაცებს მათაც მხარი დაეჭირათ მათთვის, მაგრამ, მათდა საუბედუროთ, ჯარის-კაცები ყველა თავის მოვალეობის შესრულების ჯეროვან სიმაღლეზე მდგომი აღმოჩნდენ და არ გაიზიარეს მათი მოქმედება, რის შემდეგ კომახიძე და მეავანაძე პირში ჩალა გამოვლებულნი გაემგზავრენ ნატანებისაკენ. აღსანიშნავია ის, რომ სადგურის ბაქანზე მოსიერნე ზოგიერთი მანდილოსნებიც უწყობდენ ხელს.

**ჭიათურის** მომხმარებელ საზოგადოება „ჩვენი ოჯახის“ გამგეობამ 500 მან. შესწირა ჭიათურის ქალთა საზოგადოებას.

**გორის** ფილიალურ განყოფილების მასწავლებელთა კავშირის გამგეობა მადლობას უცხადებს გორის სამეურნეო საზოგადოების გამგეობას, რომელთაც უსასყიდლოთ დაუთმეს ერთი მოწყობილი ოთახი ბიუროსათვის ზემოხსენებულ კავშირს.

**ქუტირი.** 30 აპრილს, სკოლის ეზოში გაიმართა ადგილობრივ ახლად გახსნილ სამკითხველოს სასარგებლოთ სალიტერატურო საღამო. წაკითხულ იქნა აგრეთვე ლექციაც. მონაწილეობა მიიღო პოეტმა ვ. რუხაძემ.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

(20 მაისის სხდომა).

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

თავმჯდომარე აცხადებს მიმდინარე საქმეებს და შემდეგ გადადის დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების გარჩევაზე.

ბ. თევზაიას მოხსენების შემდეგ სეიმი მცირე შესწორებით ამტკიცებს კანონ-პროექტს, მენშევიკების მიერ შეტანილს რკინის გზის ტარიფის გადიდების შესახებ. მგზავრების მესამე კლასით ტარებაზე ტარიფი იქნება გადიდებული 200 პროცენტით, მე-2-ე კლასზე—300 პრ. და 1 კლასისთვის—400 პრ. ბაქოს და საბუნჩა სურახანის შტოებზე ტარიფი გადიდებულ იქნება მხოლოდ 100 პრ.

თითეულ ვაგონს ვინც მოითხოვს, 400 პრ. იქნება გადიდებული. კანონ-პროექტს აქვს დროებითი ხასიათი.

კახეთის რკინის გზაზე ტარიფი გადიდებულ იქნა საერთოდ 100 პროცენტით.

სეიმის წევრს ერაძეს შეაქვს შესწორება, რომ მე-II კლასისათვის ტარიფი გადიდებულ იქნას 200 პროცენტით, მე-III კლასისთვის კი 300 პროცენტით. გზათა მინისტრი ითხოულობს მიენიჭოს მას უფლება გაადიდოს რკინის გზის ტარიფი, თუ ამაზე შესაფერ შუამდგომლობას აღძრავს საზოგადოება. ეხლანდელი კახეთის რკინის გზის ტარიფი გაცილებით დიდია, ვიდრე ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.

თევზაია. მინისტრები იცვლებიან, კანონები რჩება. შეიძლება ხვალ დაინიშნოს მინისტრი, რომელიც წინააღმდეგი იქნება პროგრესიულად ტარიფის გადიდების. ამის მინისტრის უფლებაში დატოვება შეუძლებელია. საქართველოს ეროვნული საბჭო კერძო დაწესებულებაა, გზაც, რომელიც მის განკარგულებაშია, კერძოა, მაგრამ ჩვენ დაინტერესებული უნდა ვიყოთ წარმოებამ არ იზარალოს. მომხსენებელი თევზაია წინადადებას იძლევა შესწორება მიღებულ იქნას.

კენჭის ყრით კანონ-პროექტი კახეთის რკინის გზის შესახებ შესწორებით მიღებულ იქნა.

შემდეგ მიღებულ იქნა კანონმდებლობითი წინადადება ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე „რუსეთის სახელმწიფოს კანონთა კრებულის“ მოქმედების შესახებ I ტომის გამოკლებით, რომელიც ეხება სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. ეს წინადადება მიღებულ იქნა შესწორებით.

ა. ს—უა.

# სამღვთო სჯული

ამიერ-კავკასიის ოლქის სამოსწავლო კომისარიატს შემდეგი კანონ-პროექტი შეაქვს სეიმში სამღვთო სჯულის სკოლებში სწავლების შესახებ.

1. ამ კანონის გამოცემის დღიდანვე სამღვთო სჯულის სწავლება უქმდება ამიერ-კავკასიის უმაღლესს, საშუალო, დაბალს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო სასწავლებლებში.

2. მდგომარე წლის პირველ ივლისიდან ამ სასწავლებლებში უქმდება ჯამაგირიანი ადგილები სამღვთო სჯულის მასწავლებელთა და ესპობა ამ სასწავლებელთ სახელმწიფო ხაზინიდან სათანადო კრედიტი. სამღვთო სჯულის მასწავლებლები, რომლებიც შტატს გარეშე დარჩებიან ჯილდოს მიიღებენ შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ კანონის თანახმათ.

3. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავიანთი შვილებისთვის სამღვთო სჯულის შესწავლას, შეუძლიათ ისარგებლონ სასწავლებელთა შენობებით თავისუფალ საათებში, უკეთუ ამის თანახმა იქნება ის დაწესებულება, რომლის განკარგულებაშიაც იმყოფება სასწავლებელი.

4. სასწავლებლებში უნდა შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი რელიგიური წესების და მღვდელმოქმედების შესრულება.

# მუშათა წერილები

**ბალშევიკებმა ფრონტი იცვალეს.**

ერთი წლის განმავლობაში რუსეთის რევოლიუციამ დიდი ცვლილებები განიცადა; მისი ლოზუნგები ელვის სისწრაფით ედებოდა მთელ რუსეთს და გამოხმაურებას პოულობდა. პირველი ამ ლოზუნგთაგანი იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება და ომის ლიკვიდაცია. თვითმპყრობელობის დამხობამ მთელი რუსეთის დემოკრატია აამოძრავა და ამ ლოზუნგის ქვეშ მოუყარა თავი. განსაკუთრებული რევოლიუციონური სული ამ ნგრევა-შენების პროცესში, პროლეტარიატთან ერთად, თქმა არ უნდა, ჯარმაც გამოიჩინა, რომელმაც რევოლიუციის პირველ დღეებში ძმურათ ხელი გაუწოდა რევოლიუციონურ დემოკრატიას და ფიცი დასდო, რომ ის დაიცავდა ფრონტს და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა რევოლიუციის შესანარჩუნებლათ და მის გასაღრმავებლათ. იმ დროს არ არსებობდა ორი აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ფრონტის გამაგრება, ქვეყნის თავდაცვა და ყველა სოციალისტურ-რევოლიუციონური პარტიები ერთხმათ აღიარებდენ ამ უბრალო ჭეშმარიტებას; ყველა გრძნობდა, რომ ქვეყნის თავდაცვა მჭიდროთ იყო შეკავშირებული რევოლიუციის შენარჩუნებასა და განმტკიცებასთან. რევოლიუციის გმირებმა—კაკი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ და სხვებმა მთელი ენერგია სწორეთ ამ აზრის გავრცელებას შეალიეს და მთელ რუსეთის დემოკრატიას აქეთკენ მოუხმობდენ. რევოლიუციონური ჯარი დიდის აღტაცებით ისმენდა ამ მოწოდებას, დემონსტრაცია დემონსტრაციებზე იმართებოდა, რომელზედაც თქვენ, სხვა ლოზუნგებთან ერთად შემდეგ წარწერას შენიშნავდით: „ომი ბოლომდის“.—ცხადია, ამ ლოზუნგში, რევოლიუციონურმა ლაშქარმა დემოკრატიული შინაარსი ჩასდო და არა იმპერიალისტური; რამდენადაც წინ წაიწევდენ ჩვენი მეომრები გერმანია ავსტრიის საზღვრების წინააღმდეგ, იმდენათ წინ წაიწევდა რუსეთის რევოლიუციასთან ერთად საერთაშორისო რევოლიუციაც, იმდენათ მწიფდებოდა ის ნიადაგი, რომელსაც, ადვილათ შესაძლებელია შედეგათ მოჰყოლოდა იმპერიალისტურ ევროპის დაცემა და პროლეტარიატის გამარჯვება. ჩვენი დასავლეთი ევროპის ამხანაგები დიდ იმედებს ამყარებდენ რუსეთის რევოლიუციაზე, რომელიც შემუსრავდა იმპერიალისტების მადას და მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიდა ინტერნაციონალს. დიაღ, რუსეთის რევოლიუცია იმდენათ ძალუმი იყო, რომ თვითმპყრობელობის დაცემის მეორე დღესვე გერმანიის იმპერიალ. წარმომადგენლის ვილჰელმის სულიერი მდგომარეობაც კი შეარყია დ გერმანიის დემოკრ. საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება და კონსტიტუციის გადასინჯვა დაპირდა. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ძრწოდა, რუსეთის რევოლიუციაში მათ საშინელი აჩრდილი დაინახეს, რომლის განვითარება და გაფართოვება დაემუქრებოდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. რამდენათაც ნელდებოდა რუსეთის დემოკრატიაში თავის დაცვის ინსტიქტი, ფრონტის გამაგრება, იმდენათ სუსტებოდა რევოლიუცია და ირღვეოდა მისი გამაერთიანებელი ძალები და ეს რღვევის პროცესი იქნამდის მიდიდა, მან იმდენი გავლენა იქონია მეომარ სახელმწიფოებზე, რომ გერმანია-ავსტრიაზე იმპერატორებმა, რომელთაც რუსეთის რევოლიუციის პირველმა დღეებმა შიშის ზარი დასცათ დ ხალხს კონსტიტუციის გადასინჯვას და სხვა დემოკრატიულ პირობების დაკმაყოფილებას პირდებოდნენ,—სრულიად მიივიწყეს და რევოლიუციონურ ფრონტის ნანგრევებზე იწყეს დაუსრულებელი იერიშების მიტანა, რომლის დასასრული ვინ იცის, როდის იქნება. და ეს გახლავთ შედეგი იმ უპასუხისმგებლო ჯგუფთა „მოღვაწეობის“, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალა, ენერგია, ნაცვლათ დემოკრატიულ ძალთა გაერთიანებისა,—იქითკენ მიმართეს, რომ თავიანთ დროშაზე იაფფასიანი ლოზუნგები წაეწერათ, უმსგავსო დემაგოგიური საშუალებები აემუშავებიათ, ოღონდ კი თავიანთი ვიწრო, ფრაქციული ჟინი დაეკმაყოფილებიათ, თუნდაც რომ მას შედეგათ დემოკრატიის მთლიანობის დანგრევა მოჰყოლოდა. ამით მე იმის თქმა არ მინდა, თითქოს რუსეთის რევოლიუციის დარღვევა მთლიანათ ამ პარტიასა თუ ფრაქციას დავაბრალო. რევოლიუციის ასეთი კრიზისი თვით რუსეთის ობიექტიურ პირობებშიაც უნდა ვეძიოთ, მაგრამ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებულმა პარტიამ, ეხლა კომუნისტურათ წოდებულმა, ხელი შეუწყო და დიდი როლი ითამაშა ძალთა დაქსაქსვისა და ანარქიის გამეფების საქმეში.

ისტორიას არ ახსოვს იმის მაგალითი, რომ პროლეტარიატს, ამ რევოლიუციის ავანგარდს, როდისმე უარი ეთქვას თავის დაცვის საჭიროებაზე; პირიქით, ფაქტები სულ წინააღმდეგს ლაპარაკობენ. საფრანგეთის რევოლიუციის დროს საფრანგეთის პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი, დადგა იარაღის ქვეშ სამშობლოსა და რევოლიუციის დასაცავათ, როდესაც მას პრუსიის ჯარი ემუქრებოდა გასანადგურებლათ. კიდევ მეტი. პარიზის პროლეტარიატი მთელ საფრანგეთის პროლეტარიატს მოუწოდებდა, რომ მას არამც თუ თავისი თავი დაეცვა, არამედ შეიარაღებული ძალით დახმარებოდენ თავის მოძმე პოლონეთს, მის დამოუკიდებლობას, რომელიც ავსტრია-პრუსიის ხიშტებით დაჭრილი სასიკვდილოთ გმინავდა. და ეს გამოსარჩლება იმდენათ უაღრესი, წმინდა და საერთაშორისო პროლეტარული გრძნობით იყო გამოწვეული, რომ პარიზის პროლეტარიატი დემონსტრაციებს ახდენს და მოითხოვს საფრანგეთის ბურჟუაზიისაგან პოლონეთის დახმარებას.

რუსეთში კი უკუღმა დატრიალდა. რუსეთის ოდესღაც რევოლიუციონური ჯარი, რომელიც ფიცს სდებდა ფრონტის გასამაგრებლათ და რევოლიუციის დასაცავათ, საკმარისი გახდა უბრალო დემაგოგიური ფრაზის გადასროლა, რომ ეს მრავალ მილიონიანი ლაშქარი ქუდ-მოგლეჯილი გამოქცეულიყო ფრონტიდან და რევოლიუციის ციხე-სიმაგრეები მტრებისთვის დაეთმო. ბალშევიკების რეცეპტით, რომელნიც ლენინის ლაბორატორიაში გამოცხვა, საჭირო იყო მხოლოდ ზავი, სულ ერთია ის როგორიც უნდა ყოფილიყო, უანექსიო თუ უკონტრიბუციო, რომ „დაერწმუნებიათ“ გერმანიის პროლეტარიატი, რომ რუსეთში ბურჟუაზიულ კერენსკის მთავრობა დაემხო, რომ პროლეტარიატი ომს აღარ აწარმოებს და გერმანიაში მაშინვე იფეთქებდა სოციალისტური რევოლიუცია, რომელიც მთელ კაცობრიობას გაანთავისუფლებდა. თუ როგორმა „სოციალისტურმა რევოლიუციამ“ იფეთქა ავსტრია-გერმანიაში, ეს თვით ლენინმაც კარგათ უწყის. კარგათ უწყის აგრეთვე ისიც, თუ როგორი „ზავი“ მისცა მან რუსეთს. გაათფთრებულმა გერმანიის ჯარმა კარგა ხანია ქაღალდის ნაგლეჯებათ აქცია ის საზავო ხელშეკრულება, რომელიც ბატონმა ტროცკებმა ბრესტ-ლიტოვსკში შეიმუშავეს. გერმანიის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ფართო ასპარეზი გაეხსნა სამოქმედოთ და დღითი-დღე რუსეთის ახალ-ახალ ქალაქებს იპყრობს.

ეხლა კი ლენინ-ტროცკის დეზერტირი მთავრობა, რომელიც პეტროგრადიდან მეხანათურათ გაიქცა და გინდენბურგის ყუმბარებისაგან დაფრთხალმა მოსკოვს მიაშურა,—წარბშეუხრელათ აცხადებს: „უნდა ველოდოთ გერმანიის მეორე რევოლიუციას, მანამდის კი საჭიროა „წითელი არმიის“ შედგენა (ალბათ ის ჯარი, რომელიც ფრონტზე იდგა—შავ არმიას წარმოადგენდა) და ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგო; და განა ლენინი მარტო საგარეო პოლიტიკაში დამარცხდა? არა, მისი საგარეო პოლიტიკასთან ერთა გაკოტრდა აგრეთვე ბალშევიკების შინაური პოლიტიკაც, რომლებმაც, მხოლოდ ეხლა, როცა რუსეთის რევოლიუცია სულს ლაფავს, პოლიტიკური კურსი შესცვალეს და ბურჟუაზიას მოიწვევენ, რომ წარმოებას სათავეში ჩაუდგენ და აღზარდონ პროლეტარიატი, სოციალისტურათ, რასაკვირველია. მხოლოდ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეიძლება, რომ ერთ და იმავე დროს, სოციალიზმის ხანაში, რომელიც კლასთა მოსპობას გულისხმობს, ბურჟუაზიაც იყოს და პროლეტარიატიც, ამის შესახებ მისი კარაბადინი ჯერ ჯერობით არას ამბობს და უნდა ველოდოთ იმ დროს, როდესაც ამას ლენინი „მეცნიერულათ“ დაამტკიცებს.

ქ. კ—ძე

# მცირე შენიშვნა

მეტის მეტ რთულ პოლიტიკურ პირობებში გვიხდება ცხოვრება. ყოველ დღეს ახალ-ახალი, ერთმანეთზე უარესი ცნობები მოდის: იქ ბრბომ მოინდომა ადმინისტრაციის გადაყენება, მეორე ადგილას ანარქიამ წამოყო თავი და, ვინ მოსთვლის, კიდევ რა. დღეს ყველა მოქალაქეს სულიერი მდგომარეობა შერყეულია, ყველას ძარღვები დაჭიმული აქვს, ასეთ დროს დიდი სარბიელი და გასავალი აქვს ყოველგვარ პროვოკაციას. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ მასსა პროვოკატორების ანკესზე არ წამოეგოს. კონტრ-რევოლიუციონერები, ამიერ-კავკასიის ახალგაზდა რესპუბლიკის მტრები, ყოველგვარ საშუალებით ებრძვიან რევოლიუციონურ დემოკრატიას. ჩვენი გაზეთის 16 მაისის ნომერში მოთავსებულია ახალ ამბებში ცნობა, რომ ბარიატინის ქუჩაზე სროლა ატყდა, შემდეგ სხვა მხრებიდანაც სროლით უპასუხეს. აი ამ სტრიქონის დამწერი თვითონ იყო მოწამე იმ ღამის სროლისა. ბარიატინის ქუჩაზე კი არა საშინელი სროლა იყო ღამის 11 საათზე მალაკანის, ელისავეტინის, რაზიეწკაიას და სხვა ქუჩებზე. სროლამ 10 წუთი გასტანა. თითქმის ყოველ ღამე აქაიქ სისტემატიურათ ისვრიან. ამას შეუძლია დიდი გაუგებრობა დაბადოს და სხვადასხვა ერები, რომლებიც მტრულათ არიან ერთი მეორეზე განწყობილნი, ერთმანეთს დაატაკოს და ტრაგედია დატრიალდეს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ, როგორც ზევით მოვიხსენიე, ყველას ნერვები დაჭიმული აქვს და ყოველგვარი პროვოკაცია ადვილათ იკიდებს ფეხს. საქმე იმაშია, რომ ეს სროლა რაღაც ორგანიზაციულ ხასიათს იღებს. როცა ერთ ადგილზე ატყდება სროლა, სხვა ადგილებიდანაც მწყობრათ უპასუხებენ.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლიუციის მტრებს არ სძინავთ, ისინი ნაციონალური შუღლის გაღვივებით, ერთა შორის წასისინებით სცდილობენ თავის საქმის გაკეთებას. მათ სურთ ამ ნიადაგზე ანარქიის მოხდენა. ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ ყველა რევოლიუციის მტრებს, შავრაზმელებს. მთავრობის მოვალეობაა ამას სერიოზული ყურადღება მიაქციოს და მის მოსასპობათ ენერგიული ზომები მიიღოს. თუ მილიციონერები არ ასრულებენ ჯეროვანად თავის მოვალეობას, ისინი დათხოვნილ უნდა იქნას. საჭიროა აგრეთვე ღამე ყარაულთა რიცხვის გადიდება. მხოლოდ ენერგიულ ზომებით შეიძლება მოსალოდნელი ანარქიის ჩაქრობა. აი სწორეთ აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული ყველას გულის ყური.

ანხანი.

# კავკავიდან ჩამოსულის ნაამბობი

კავკავიდან ჩამოსულმა ამხანაგმა შემდეგი გვიამბო: კავკავი დღეს თუმცა ბალშევიკების სამეფოს წარმოადგენს, მაგრამ მათი მეფობის წამები უკვე დათვლილია.

მშვიდობიან მცხოვრებთა შორის თანდათან იზრდება უკმაყოფილება. უმთავრესათ ეს უკმაყოფილება აღმოცენებულია წითელი „არმიის“ გამო. კავკავში არსებობს ეგრეთ წოდებული წითელი „არმია“, რომლის ჯარისკაცი თვეში სამას მანეთს ღებულობს ჯამაგირის სახით სახალხო კომისართა წყაროებიდან. ეს წითელი არმია არის ქალაქში წესრიგის დასაცავათ, მაგრამ სამწუხაროთ ეს ასე არ ხდება. წესიერების დამცველნი თვით უწესოებას სჩადიან: თვრებიან, ლოთობენ და თან უტიფრად გაიძახიან, რომ ჩვენ თუ ვმსახურობთ, ვმსახურობთ ფულისათვის, ჩვენ ფეხებზე გვკიდია ბალშევიკებიც და მენშევიკებიცო.

წითელ „არმიაში“ ჩასაწერათ კარები მუდამ ღია არის. შიგ შეუძლია ჩაეწეროს, ვინც კი სიტყვიერათ აღიარებს ბალშევიკობას, თუ გინდ ის ცნობილი ხულიგანიც იყოს. ეს წითელი არმიელები იცავენ „წესიერებას“ დღითი, საღამოს 9 საათამდე. 9 საათის შემდეგ კი თვით მცხოვრებნი დარაჯობენ ქალაქში მორიგეობით. ღამ-ღამობით ქალაქში ხშირათ სროლა არის. სროლა გრძელდება საღამოს 8 საათიდან 9 საათამდე, ე. ი. ვიდრე თვით მოქალაქენი გამოვიდოდენ სადარაჯოთ ქუჩებში. წითელ არმიელებსა და კავკავის მოქალაქეთა შორის უკმაყოფილება არის.

კავკავში ტრამვაის მოძრაობა სრულიად შეჩერებულია სათბობი მასალის უქონლობის გამო და არც არის არსაიდან იმედი, რომ ამ მოკლე ხანში მიიღონ მასალა და განახლდეს ტრამვაის მიმოსვლა. ტრამვაის მიმოსვლის შეჩერებით მცხოვრებნი შევიწროებულნი არიან.

შავი პური ღირს გირვანქა 35 კაპეიკი, თეთრი კი მანეთი, პური იშოვება. დანარჩენი სანოვაგის ფასი დიდათ არ განსხვავდება ტფილისში არსებული ფასებისაგან. ბალშევიკები ძალიან შიშში არიან; ყოველივე მომდარ ექსცესებს გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ, რომ მათ წინააღმდეგ არ იყოს ის მიმართული.

ბალშევიკების სახალხო საბჭოს კომისარები ცხოვრობენ მეორე რეალური სასწავლებლის შენობაში. საინტერესო სურათს წარმოადგენს თვით ეს შენობა: ყოველ ფანჯარაზე ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები დგას, რომლებიც ქუჩებისკენ არიან მომიზნებული.

ს. ქავთარაძე აქ არის. აქვე იმყოფება ტფილისში კარგათ ცნობილი კამალოვიც, რომელიც დღეს კავკავის სახალხო კომისართა თავმჯდომარეთ არის. კრებებზე წინეთ თუ ასში ერთი გამოჩნდებოდა ბალშევიკების წინააღმდეგ და მენშევიკების ან ესერების მომხრე, დღეს საერთოდ კრებებზე და მიტინგებზე თითქმის ხმები შუაზე იყოფა და ბალშევიკების გავლენა ხალხში თანდათან ჰქრება. დღემდეც გამქრალი იქნებოდა, რომ იარაღით არ იცავდენ ბატონობას.

საერთოდ კავკავის დემოკრატია გამოფხიზლების გზას დაადგა მას შემდეგ, რაც რომ ბალშევიკებმა სამარცხვინო ზავი შეჰკრეს გერმანელებთან და ამით მცხოვრებნიც საფრთხეში ჩააგდეს.

ასეთი არის მოკლეთ კავკავიდან 14 მაისს ჩამოსული ამხანაგის ნაამბობი.

ნ. ჯიხაიშვილი.

# ლტოლვის საგანი

შეუპოვარი სულის კვეთებით,
სტიქიურ ღელვით, გიჟურ ლტოლვილთა,
ამაყად მქროლავ დიადი დროშით
საგანთიადო ძლევის ხმებითა,
მოგესალმები, სამშობლო მხარევ,
მოგესალმებით, სამშობლო მთებო,
გულში ჩამიკარ, ძვირფასო დედავ
დამატკბე მშობლის საამო ხმებო!.

სამშობლო მხარევ!..
ძლევის გვირგვინი ჩვენი ლხენისა
ჟამსა მწუხრისას იცრემლებოდა,
ჩაგვრის მანტია შავად გაშლილი
შენს ტურფა მკერდზე იფინებოდა!..
სპეტაკ ნაკადულს ქვეყნის ფიქრისას
კერპთა აჩრდილნი ემუქრებიან
და სხივნი შვების,—ტრფობით კონილნი
ღამის წყვდიადში შთაინთქებიან! —
— მაინც რო დგეხარ, არ ცხრები არევ,
მიტომ მიყვარხარ სამშობლო მხარევ!..

სამშობლო მთებო!..
პირველად, ოდეს ვიდოდი შორით
თქვენს მაღალ მწვერვალთ მოვკარი თვალი,
შავი ღრუბელნი რისხვით დაგცქეროდენ
იქ ზეცა იყო თქვენზე გამწყრალი—
ოი ისარნი, ზეცის ისარნი,
რა რიგ ველურად გიკვეთებოდნენ,
მაგრამ იმედი ფრთებს არ იკვეცდა
მახვილნი იგი შუა ტყდებოდნენ!..
— არ ირყეოდით. გოლიათებო,
მიტომ მიყვარხარ, სამშობლო მხარევ!..

შეუპოვარი სულის კვეთებით
სტიქიურ ღელვით, გიჟურ ლტოლვითა
დავძებ გვირგვინს—შვების სამკაულს
მას ვეამბორო სპეტაკ თრთოლვითა,
და იმ შვენებით ავიდე მაღლა,
შორს, მწვერვალოზე ვეწვიო მთებსა,
მაღალ სივრციდან თვალი მოვავლო
ჩვენი ცხოვრების მდელო-მინდვრებსა!..
მნათობთა მეფეს შევევედრები
შევევედრები ვარსკვლავთ-მთვარესა,
ნათელი სხივი გულს ატოკებდეს,—
აციაკროვნებდეს ტანჯულთ მხარესა!..

შეუპოვარი სულის კვეთებით,
სტიქიურ ღელვით, გიჟურ ლტოლვილთა—
მას ვეძიებდეთ შვების სამკაულს,
მას ვეამბოროთ სპეტაკ თრთოლვითა!..
და ოდეს, ჰიმნი გამარჯვებისა,
გაინავარდებს სამშობლო ცაზე,
მაშინ დიდიკოც გულში ჩამიკრავს
ამ ნეტარ ხმების გაგონებაზე.
სამშობლო არევ! შენი შვილი ვარ,
ხომ იცნობ, დედავ, ჩემ სულ-კვეთებას,
ნუ თუ მე მოვკვდე და ვერ ვღირსო,
ჩემს ლტოლვის საგნის ბედნიერებას?!
მოგესალმები, სამშობლო მხარევ,
მოგესალმები, სამშობლო მთებო,
გულში ჩამიკარ, ძვირფასო დედავ,
დამატკბე, მშობლის საამო ხმებო!..

გელ.

იანეთი.

# რა ხდება რუსეთში?

ამხანაგი, რომელიც აპრილის დამლევს გამოვიდა რუსეთიდან, მოკლეთ შემდეგს გადმოგვცემს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაზე: ამ ბოლო დროს მეტათ საყურადღებო ცვლილება ხდება ბალშევიკ-კომუნისტების მოღვაწეობაში: ბალშევიკები თანდათან მიილტვიან კაპიტალისტებთან შესათანხმებლათ, ლენინის აზრით საჭიროა შეჩერდეს კაპიტალისტებზე თავდასხმა. ფლოტის და ნაოსნობის ნაციონალიზაციამ მათ დიდი ზარალი ანახვა, ვოლგაზე გადატან-გადმოტანა ტვირთის სრულიათ შეწყდა. მათ მიმართეს გემების წინანდელ პატრონებს, რათა უკან მიეღოთ მათი გემები. უკვე მოხდა შეთანხმება ზოგიერთ კაპიტალისტებთან ნავთის გადასაზიდ საშუალებათა დენაციონალიზაციის შესახებ. ე. ი. გემები ძველ პატრონებს დაუბრუნდა. წარმოების სფეროში იმ ზომამდე მივიდენ, რომ წინადადებას აძლევენ კაპიტალისტებს, რათა მათ შეადგინონ „შრომის“ არტელები, რადგანაც პირდაპირ კაპიტალისტებთან შეთანხმება ეხამუშებათ. ამის გამო ხშირია შემთხვევა, რომ კაპიტალისტის ოჯახი ადგენს „შრომის“ არტელს, ცოლის და შვილებისაგან და იღებენ საქმეს და სუბსიდიასაც „მუშათა და გლეხთა“ მთავრობისაგან. სამხედრო სფეროში მათ ამას კიდეც გადააჭარბეს. უკვე შეუთანხმდენ ძველ გენერლებს რუზსკის და სხვებს, მოლაპარაკება აქვთ გამართული გენერალ ალექსეევთან, რომელიც ეხლა მათ წინააღმდეგ კორნილოვთან შეთანხმებით ბრძოლას აწარმოებს. ერთ კრებაზე, თავის პოზიციის გასამართლებლათ ტროცკიმ განაცხადა: გენერლები მონები იქნებიან მუშათა და გლეხთა მთავრობისო, მარა ამან გენერლები მეტათ გააჯავრა, ისინი დაემუქრენ წავალთ თქვენგანო და ტროცკი იძულებული გახდა ბოდიში მოეხადა მათ წინაშე. ჯარში გააუქმეს ყველა საარმიო კომიტეტები და ცდილობენ შემოიღონ რომანოვისებური დისციპლინა, თუმცა ცხოვრებაში ჯერ ჯერობით ვერ ატარებენ. ჯარი ანუ წითელი არმია, დაქირავებული პირებისგან შესდგება, ერთ ხანს ბალშევიკები არც კოოპერატივებს ინდობდენ და მათაც გამოუცხადეს ბრძოლა, მაგრამ ვერაფერი მოიგეს და იძულებული გახდენ მათთან შეთანხმებაზე დაეწყოთ ლაპარაკი. საერთოთ წარმოება სრულიათ დაცემულია, რაც წინათ იყო იმის არც 10°/₀ არ მუშაობს. ბალშევიკების ორგანიზაციულ—უნარს მოკლებული მუშაობა ყველაფერში გამოსჩანს. მათ ვერ შესძლეს საზოგადო სამუშევრების მოწყობაც კი, თუმცა ბევრი მოთხოვნილება კია ასეთი სამუშევრების.

მაგალითათ მათ მოახდინეს სახლების მუნიციპალიზაცია და ამავე დროს სრულიათ უთვალყუროთ დატოვეს სახლები, არავინ ზრუნავს მათ რემონტზე და შეკეთებაზე და სხვ. არც ქუჩები იგვება, პეტროგრადის და მოსკოვის ქუჩებშიაც კი ალაგ-ალაგ გაუვლელ ტალახს შეხვდები.

ბალშევიკების წითელ-რაზმელთა სიმხეცემ თვით გასამართლებამ, და უთავბოლოო ხალხის დახვრეტამ უფრო შეგნებულ მუშებში დაბადა ბალშევიკ-კომუნისტებისადმი უნდობლობა, და მათგან მუშები გარბიან. სამწუხაროთ ბევრი მათგანი გარბის რა ბალშევიკებისაგან, იმავე დროს გარბის საერთოთ სოციალიზმისაგანაც. მუშების საუკეთესო ნაწილი მენშევიკებს უბრუნდება, ფართო მასსას კი ეტყობა პოლიტიკიდან ჩამოშორება.

ამ ბოლო ხანებში ამასთანავე შესამჩნევათ იზრდება სამღვდელოების გავლენა მასსაზე. საერთოთ ბალშევიკები იდეურათ უკვე დამარცხებულათ უნდა ჩაითვალონ. საბჭოებში ისინი მხოლოდ ხელოვნურათ ქმნიან უმრავლესობას. მაგალითად ერთი ბალშევიკი გვარდიელის ხმა უდრის ათი მუშის ხმას და ეს ხდება შემდეგნაირათ: ას გვარდიელს უფლება აქვს ერთი წარმომადგენლის არჩევის, მუშები კი ირჩევენ ერთ წარმომადგენელს ათას კაცზე. არჩევნებში ფარული კენჭის ყრას ეწინააღმდეგებიან, თხოულობენ აშკარათ ხმის მიცემას და ასეთ არჩევნებზე კი ძალდატანებას ახდენდენ, რომ თავისიანები გაიყვანონ. მუშებს ეუბნებიან, თუ ბალშევიკებს არ აირჩევთ, ქარხანას სუბსიდია შეუწყდებაო. და ამრიგათ ფონს გადიან. მიუხედავათ ასეთი მახინაციებისა მათ ხშირათ ამარცხებენ. ერთი ასეთი დამარცხებათაგანი მათ ქ. იაროსლავში იგემეს. საბჭოში აირჩიეს სამი მეოთხედი მენშევიკები და მხოლოდ ერთი მეოთხედი ბალშევიკ-კომუნისტები: შედეგი ამის ის იყო, რომ საბჭო გარეკეს და თავმჯდომარე და მენშევიკების თვალსაჩინო მოღვაწენი იაროსლავიდან სამუდამოთ გადაასახლეს. მარა მეორე არჩევნებში კიდევ უფრო დამარცხდენ. სულ რამდენიმე-ღა გავიდა ბალშევიკი საბჭოში. ხშირია შემთხვევა, რომ მუშათა საბჭოს გარეკენ და მის უფლებებს გადასცემენ გლეხთა საგუბერნიო საბჭოებს, სადაც ჯერ კიდევ ყავთ უმრავლესობა, რადგან გლეხები ისე ადვილათ ვერ ერკვევიან მდგომარეობაში და მათ უჯერიან, და თუ ასეთი არ აღმოჩნდება პირდაპირ გადასცემენ ხოლმე ძალა-უფლებას ბალშევიკ-კომუნისტების ორგანიზაციას: მუშები საერთოთ თითქმის ყველგან ხელახალ არჩევნებს მოითხოვენ. ამ ბოლო დროს მენშევიკების გავლენა მუშებში შედარებით იზრდება. მათი ლოზუნგია დამფუძნებელი კრების მოწვევა. ცენტრში და პროვინციებში კი ძალაუფლებას ქალაქის და ერობის თვითმართველობებზე გადაცემა. ლოზუნგი, რომ მთავრობა შემდგარიყო სახალხო სოციალისტებიდან ბალშევიკებამდე თანდათან წაიშალა და მასსაში თანაგრძნობას არ პოულობს, შეგნებულ ნაწილში ძლიერდება დამფუძნებელ კრების მოწვევის იდეა. მენშევიკების უმრავლესობა წინააღმდეგია მთავრობაში შესვლისა და ბალშევიკებთან თანამშრომლობისა, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც შესაძლებლათ სცნობენ ამას.

კადეტების ორგანოები მენშევიკებს წინააღმდეგ სასტიკ კამპანიას ეწევიან, სამაგიეროთ ბალშევიკებისაკენ იხრება მათი სიმპატია მათ ისინი საქმის ხელს ეძახიან. ასე ნელ-ნელა ეყრება საფუძველი კომუნისტთა და ბურჟუაზიის კოალიციას. სამარცხვინო ზავის გარშემო გაისმის უკმაყოფილება, მეშჩანები უკვე ალაპარაკდენ და გაიძახიან, რომ რუსის ხალხი უმთავროთ ვერ გამოდგებაო.

ბალშევიკების წრეებშიაც ბევრს ლაპარაკობენ რევანშზე: ისინიც ფიქრობენ სამაგიერო უზღონ გერმანიას, მარა მათი ჯარის შედგენის საქმე ძლიერ ნელი ნაბიჯით მიდის წინ. კადეტთა პარტიის ცნობილი ლიდერები მიმალული არიან. დროებით მთავრობის მინისტრებმა ამნისტია მიიღეს. კადეტთა ორგანოები კიდევ ამყარებენ იმედს მოკავშირეებზე. მოკავშირეთა კონსულები ვოლოგდაში არიან.

საზღვარ-გარეთიდან არავითარი ცნობები არ მოდის. ინფორმაციის საქმე სრულებით არ არის მოწყობილი. ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მიმართვას რუსეთისადმი ჩვენამდე არ მოუღწევია. ცხადია ბალშევიკებმა აკრძალეს მისი გამოქვეყნება. ფინლიანდიიდან მოდის კანტი-კუნტათ გაზეთები. შვედურ გაზეთებში დაბეჭდილი იყო საინტერესო ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ ფინლიანდიაში აჯანყება მოუწყვია რუსეთის ბალშევიკებს წინააღმდეგ ფინლიანდიის სეიმის სოც.-დემოკრ. ფრაქ. და სოც.-დემ. ცენტრ. კომიტეტის უმრავლესობის სურვილისა.

რკინის გზის მოძრაობა ასე თუ ისე მხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრად შუა სწარმოებს, რამოდენიმეთ ვოლგაზე და ციმბირში, დანარჩენ ადგილებში კი შეწყვეტილია.

გაზეთების გავრცელების საქმე ძლიერ დაეცა. იბეჭდება მხოლოდ ერთი მეათედი იმისა, რაც წინათ იბეჭდებოდა. მაგ.: „პრავდა“ სალდება მხოლოდ 8 ათასი, „დენ“ 12 ათასი, „რეჩ“ 18 ათასი და სხვ. თვით გამოცემათა რიცხვიც ძლიერ შემცირდა.

აგრარული რეფორმის გატარების საკითხი ძლიერ აწეწილ-დაწეწილია. სოფელთა შორის ხშირათ მიწის გაყოფის გარშემო ბრძოლა სწარმოებს. მიწას იყოფენ არა კაცის თავზე, არამედ იმის კვალობაზე ვის რამდენი ცხენი ყავს და რამდენის დამუშავება შეუძლია. ამის გამო მიწები სოფლის წურბელებს უვარდებათ ხელში. მიწების გაყოფის ნიადაგზე სოფლებ შორის საარტილერიო ბრძოლაც იმართება ხშირათ. ქაღალდის ფულების ბეჭდვა ჩვეულებრივ გრძელდება. ამბობენ ეხლა ამზადებენ ახალი ფორმის ქაღალდის ფულს, რომლის დამზადების შემდეგ ძველი უნდა გადაიცვალოს ახალზე. გადაცვლის დროს განზრახული აქვთ სავალდებულო სესხის გატარება შემდეგი გზით: გამოცხადებულ იქნება, რომ ძველ ფულს გასავალი აქვს მხოლოდ ამა და ამ დრომდის, ხაზინა გამოუცვლის, ვინც ამ ვადამდე შემოიტანსო. შემდეგ კი ძველ ფულს აღარ მიიღებენ. გამოცვლის დროს ფულის მიმტანს მისცემენ არა იმდენს, რამდენიც წარადგინა, არამედ ნაკლებს, დანაკლისს კი მიმდინარე ანგარიშში ჩაუწერენ. ამ რიგათ უნდათ იძულებითი სესხი გაატარონ.

# მუშათა პირველი კლუბის გახსნა

პირველ მუშათა კლუბის გახსნამ 19 მაისს დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, განსაკუთრებით კრებას მრავლათ დაესწრენ მუშები და მათი ბელადები. კრებას ხსნის და მოკლე მისასალმებელ სიტყვას ამბობს მუშა ავადკოვი. შემდეგ ილაპარაკა აზატიანმა, რომელმაც აღნიშნა ჩვენი საზოგადოების უინიციატორობა, უმოქმედობა; დღეს, ამბობს ორატორი—ვდგევართ კრიტიკულ პოლიტიკურ მდგომარეობის წინაშე, რევოლიუცია განსაცდელშია და ჩვენი საზოგადოება სრულ უმოქმედობას იჩენს, მისი ერთი ნაწილი გერმანიის მოსვლაში ეძებს ხსნას, მეორე ინგლისის და სხვ. მიზეზი კი ძველი წესწყობილება იყო, რომელმაც საზოგადოება მონურად აღზარდა შემდეგ ის ეხება საერთოდ კლუბების ისტორიას და ამბობს: რუსეთში არსებობდენ ბურჟუაზიული კლუბები, ხოლო მუშათა კლუბები 1905 წ. რევოლიუციის შემდეგ გამოჩნდენ და მუშათა ერთმა ნაწილმა კიდევაც გაილაშქრა ასეთი კლუბების წინააღმდეგ. აი სწორეთ მუშათა კლუბმა უნდა დაისახოს მიზნათ პროლეტარიატის გათვითცნობიერება, მისი თვითმოქმედების უნარის აღზრდა და სხვ. შემდეგ საოლქო ს.-დ. მუშ. პ. კომიტეტის სახელით კლუბის გახსნას ესალმება კარლო ჩხეიძე და ამბობს: თუ ჩვენ მიმოვიხედავთ ირგვლივ დავინახავთ ერთგვარ უნუგეშო მდგომარეობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ დღეს მე ვუწოდებ მუშათა დღესასწაულს და კიდევაც ვულოცავ პროფესიონალურ კავშართა საბჭოს ამ დიად დღესასწაულის დღეს. ამხანაგებო! დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ რევოლიუცია დამარცხდა და სხვ. მე ვამბობ, რომ ამის თქმა ჯერ ნაადრევია, ჯერ ჯერობით რომელიმე საერთო დასკვნის გამოყვანა დიდი შეცდომაა და ამას უნდა უფრთხილდეთ ჩვენ. მართალია, რევოლიუცია კრიტიკულ მდგომარეობაშია, საფრთხეშია. მიზეზები ამისა ბევრია, მაგრამ მე მივითითებ ერთ მიზეზზე, ეს არის ჩვენი გაუნათლებლობა, უმეცრება, გაუთვითცნობიერებლობა. ჩვენი დიდებული მასწავლებელი კარლ მარქსი ამბობდა, რომ უმეცრებას არასოდეს სარგებლობა არ მოუტანია. მარქსის ბევრი დებულებები გამართლდა ამ ომის დროს, განსაკუთრებით ზემოთ ნათქვამი. [illegible] რამდენიც გინდათ: სად, რომელ [illegible] რომელმა პროლეტარიატმა სთქვა, რომ ნახევრათ ფეოდალურ-ბურჟუაზიული წესწყობილებიდან მიუხედავათ სუბიექტიური და ობიექტიური პირობების მოუმწიფებლობისა შეიძლებოდეს სოციალიზმში გადაფრენა—ეს რუსეთში სთქვეს, სადაც არსებობს კლასობრივი დიფერენციაცია, პროლეტარიატი საკუთარ ცხოვრებით ცხოვრობს, იქ ვინ გაბედავს დედამიწის ზურგზე საუკეთესო არჩევნების სისტემით არჩეულ დამფუძ. კრების წინააღმდეგ წასვლას, რუსეთში კი გარეკეს დამფუძნებელი კრება. საბუთი? დამფუძნებელი კრება, რომლისთვის ეხლა იბრძვიან გერმანიის და სხვა განათლებულ სახელმწიფოების პროლეტარიატი, თურმე ბურჟუაზიის გამოგონება ყოფილა. რუსეთმა გამოიგონა ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც არასოდეს არავის არ უთქვამს და არც გაუგონია (ტაში). მიზეზი ყველაფერი ამისა?—უსწავლელობა, უმეცრება.

ერთად-ერთი წყარო, რომელიც ასაზრდოებდა რუსეთის მასსას, ეს იყო უმეცრება. როგორც სჩანს, ჩვენ ბევრი, სულ ბევრი ავადმყოფობითა ვართ შეპყრობილნი. აი ეს მუშათა კლუბი უნდა შეიქნეს ისეთი დაწესებულება, რომელიც განკურნავს ჩვენს ავადმყოფობას, რომელიც მალამოს დასდებს ჩვენს ჭრილობას. რუსეთში ერთი ჯგუფის (სახელს არ ვიტყვი) ხელმძღვანელმა ამ უკანასკნელ ხანებში განაცხადა: ჩვენ ბურჟუაზიის საქმე უნდა ვაკეთოთო, მათთან ერთად ვიმუშაოთ მუშათა ინტერესებისთვის, აი სწორედ ამისთვის გვიწოდებდენ ჩვენ კონტრ-რევოლიუციონერებს, რეაქციონერებს და ვინ მოსთვლის კიდევ რას.

ამხანაგებო, ისინი იქ ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ და ჩვენი ვალია აქ გავუფრთხილდეთ ნაციონალისტების და შოვინისტების საქმე არ ვაკეთოთ (ტაში). თუ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ჯერ კიდევ შერჩენია სიცოცხლე და არ გარყვნილა, თუ ის სწორ ტაქტიკაზეა, ეს ამხანაგებო იმ მუშაობის ნაყოფია, რომელსაც ვაწარმოებდით იმ ბნელ ბათუმში. ჩვენ იქ ვსწავლობდით და ვასწავლიდით მუშებს მეცნიერებასაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ვინც ძლიერია მეცნიერებაში, ის იმარჯვებს ომშიაც, ეს ნათლათ დაგვიმტკიცა გერმანიის ტეხნიკის განვითარებამ. მუშათა კლასისთვის აუცილებელი იარაღია მეცნიერულად მომზადება. ამიტომ მოხარული ვარ, რომ ისეთ დაწესებულებას ვუყურით საძირკველს, რომელიც შეეცდება მშრომელი კლასის გათვითცნობიერებას, კლასობრივათ მომზადებას. აქ თქვენ შეისწავლით თეორიები და შემდეგ ცხოვრებაში მოიხმარეთ სწორათ ის. გაუმარჯოს მუშათა კლუბს! გაუმარჯოს რევოლიუციას, ასე დაამთავრა თავის სიტყვა ორატორმა.

მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ: შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ფირცხალაიშვილი, ბალშევიკების თფილისის კომიტეტის წარმომადგენელი, ვლასა მგელაძემ, რომელმაც შემდეგი სთქვა: სიამოვნებით და აღტაცებით ვეგებები დღევანდელ დღესასწაულს, პირველ მუშათა კლუბის გახსნას თფილისში!

ჩვენ სასოებით და ბავშვური გატაცებით მოველოდით ჩვენი კლუბის გახსნას, მის სარდაფ-ჯურღმულიდან მზის სხივზე გამოფენას. დიდი დრო და რთული გზა განვლეთ, სანამ აქ მოვაღწევდით. 1893 წლის დიდი შაბათი იყო, საღამოს სიონისა და ქაშვეთის ეკლესიის ზარები მართლ მორწმუნეთ თავისკენ იწვევდენ... ჩვენ კი, რამდენიმე მუშები აზლვავებულ ხალხში გაუბედავათ მივიპარებოდით ჩუღურეთში მტკვრის ნაპირას ლადო დარჩიაშვილისას. გაუბედავათ შევაღეთ კარები და ხმა-დაბლათ სტანისლავ ლადომ რუსული წიგნაკი წაგვიკითხა, სადაც ამერიკელ-ბანკირის გაუმაძღრობა—ხალხის ყვლეფა იყო აწერილი. ამ დღიდან ვითარცა პირველი ქრისტიანენი თფილისის სარდაფებ-ჯურღმულებში თავს ვიყრიდით კავკასიის სხვადასხვა ერების გაყვლეფილი ახალგაზდები და ვით ქრისტეს მოციქულები ახალ სარწმუნოებას და ჩვენ სავალ გზას გვასწავლიდენ ჩვენი საყვარელი მასწავლებლები!..

ჩვენს მაშინდელ კლუბში—ჯურღმულ-სარდაფებში დადიოდენ ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია, ეგნატე ნინოშვილი, სტანისლავი და ძმანი მათნი და იქ ჩვენი ცხოვრების ისტორიას გვიხსნიდენ, წერა-კითხვას გვასწავლიდენ...

არსენა ოძელაშვილის ამბავს მოჰყვა დანიელ ჭონქაძე, დავით-აშვილს—ნინოშვილ-ჟორდანია.

პირველად 1893 წ. კარლო ჩხეიძიდან მივიღეთ გექტოგრაფზე დაბეჭდილი კარლ მარქსის კომუნისტური მანიფესტი ქართულათ და „ოთხი ძმა“. სემინარიის გაფიცვის გამო 1893 წელს ჩვენ ჩუმათ დავბეჭდეთ ამ გაფიცვის ანგარიში და დარიგდა მოწინავე საზოგადოებაში. ამას მოჰყვა მუშათა კლასის გაღონებ-რება და წარმოიშვა მისი სტიქიით [illegible] ველი ლადო კეცხოველი, რომელმაც გვერდში ამოიყვანა სევერ. ჯუღელი და „მატარა ძმათ-აშწყობების“ შემწეობით დაიბეჭდა ქართულათ: მუშათა ანბანი, რვა საათის სამუშაო დღე, „ოთხი ძმა“, ნოე ჟორდანიას [illegible] „პირველი მაისი“. 1900 წელს დაიწყო რკინის გზის გაფიცვის ფურცლები და ლადო დარჩიაშვილის მიერ გამოგზავნილი „პარიზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კონგრესი“. მას მოჰყვა ქართულ-სომხურ-რუსული ჟურნალ-გაზეთების, წიგნაკების ბეჭდვა და მოეწყო მთელი რუსეთისათვის საბეჭდავი სტამბა სარდაფ-ჯურღმულში, სადაც დაიბეჭდა კომუნისტური მანიფესტი, ერფურტის პროგრამა და მთელ რუსეთს მოეფინა. აი რა მუშაობა იყო ჩვენს მაშინდელ კლუბ-სარდაფებში, აი, როგორ მოვედით ამ პირველ თავისუფალ კლუბის გახსნამდე, რომლის გარშემო ფრიალებს წითელი დროშები, ელვარებს ელექტრონის სხივებზე და მაშინდელ ჩვენ საყვარელ მასწავლებლების მიერ აქ წარმოთქმულ სიტყვას მუსიკა მარსელიეზის ჰიმნით ეგებება და განა ჩვენ მხიარულება არ გვმართებს?!

მახსოვს ჩვენი სახელოვანი ძველი ბათუმი, იქ „კლუბში“ ჩუმი და ცხადი მუშაობა როტშილდის ქარხნისა და საკვირაო სკოლაში, თუ რა გულისყურით უსმენდენ მუშები კარლო ჩხეიძეს, ისიდორე რამიშვილს, ალ. წულუკიძეს, ევგ. სოლორაშვილს და სხვათა, როდესაც ისინი უხსნიდენ დარვინისა და სხვა სამეცნიერო წიგნაკებს და როგორ ამზადებდენ კულტურულ-გონებრივათ ჩვენ მუშებს!..

და ამ შეგნების, დადებითი მხარეების შეთვისება-კულტურის ნაყოფია ის, რომ ჩვენი მუშა ამხანაგები ასე იცავენ ყველა იმას, რაც შეადგენს საკაცობრიო ღირებულობას—საქვეყნო კულტურას!..

კავკასიის მუშათა კლასს აქვს თავისი წარსული, თავისი ტრადიცია, ყავს თავის მწერალ-მეთაურები და ეს გამოცდილება გადაგვარჩენს ჩვენ როგორც სასტიკ რეაქციის ბრჭყალებისაგან, ისე ბოლშევიკურ ანარქიისაგან, რომელმაც შებილწა მუშათა კლასის მშვენიერება!..

და თუ ჩვენ სარდაფ ჯურღმულში ვახერხებდით ზრდა განვითარებას, დღეიდან, რაც უნდა მოხდეს მუშათა კლასი შესძლებს საკუთარი გზით სიარულს!..

შემდეგ სიტყვებს ამბობენ: კულტ.-საგანმანათლებლო სექციის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს წარმომადგენელი, სოციალისტ-რევოლიუციონერთა საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი, პროფესიონალურ კავშირის მეტყავეების წარმომადგენელი და მიხა ცხაკაია. ცხაკაიას სიტყვა მიმართულია უმთავრესად ჩხეიძის საპასუხოდ. ორატორი იგონებს საფრანგეთის რევოლიუციას, პარიზის კომუნას და ამბობს, რომ ყველა ამ გაკვეთილების და გამოცდილების შემდეგ რუსეთის მუშათა კლასს შეეძლო გადაეტანა სოციალიზმის სამეფოში. ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაზე ის ამბობს, რომ არავითარი განსაკიცხი არ არიან ბოლშევიკები, თუ მაკლაკოვ მილიუკოვებს მოიხმარენ მუშათა საქმის კეთებაშიო. მისალმებებს შემდეგ გაიმართა წარმოდგენა ჯერ სომხურათ, შემდეგ ქართულად, რუსულად წარმოდგენა გაიმართება 20 მაისს.

ა. ხ—უა.

## მუშათა შორის

ტფილისი. კვირას, 19 მაისს, მუშათა კლუბის შენობაში შესდგა ტფილისის სათამბაქო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წეს-რიგში იყო დასმული განსახილველათ შემდეგი საკითხები: გამგეობის მოხსენება მისი მოქმედების შესახებ გასული წლის განმავლობაში, კავშირის ფინანსიური ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, განხილვა და დამტკიცება 1918 წლის ხარჯის, არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების თავის კანდიდატებით.

როგორც მოხსენებიდან სჩანს, კავშირს მაშინ მიმართავდენ ზოგიერთი მუშები, როცა მათ „ხაზეინები“ ქუჩაში გაგდებას უპირობდენ. მაშინ იგინი ცდილობდენ რამდენიმე თვის გადასახადიც შეეტანათ, რომ ამით მათ უფლება ჰქონოდათ მოეთხოვათ კავშირისაგან მათი ინტერესების დაცვა—როგორც კავშირის წევრების.

კავშირის გამგეობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დახმარებას უწევდა ამ დაგვიანებულ ამხანაგებსაც და თუ რამდენათ ენერგიული იყო მისი მოქმედება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ერთი წლის განმავლობაში მუშებს მიუღიათ სხვადასხვა ხაზეინებისაგან 300,000 მანეთზე მეტი. მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა კავშირის გამგეობის წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ მუშებს პირადათ მიუღიათ „ხაზეინებისაგან“ ანგარიში, რომ ხვედრი გადასახადი კავშირის სასარგებლოთ აიცილონ თავიდან. ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოთ, როგორც მსახურნი სათამბაქო-სამრეწველო დაწესებულებებში, ისე კავშირის წევრებიც ძალიან გულგრილათ ეკიდებიან კავშირის საქმეს. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია ვსთქვათ, რომ 15,000 კაციდან, რომლებიც ირიცხებიან სათამბაქო-სამრეწველოებში მსახურნი სულ რაღაც 2,529 კაცი შედის კავშირში წევრებათ და აქედან მხოლოდ 1,300 წევრი იხდიდა თავის დროზე ხვედრ გადასახადს.

მიუხედავათ იმისა, რომ კავშირის წევრების ძალით წევრები, რომლებსაც სხვა თვის განმავლობაში არ შეუტანიათ საწევრო გადასახადი უნდა გამორიცხულნი იყვნენ კავშირიდან, გამგეობა მაინც არ მიმართავდა ამ ზომებს იმ იმედით, რომ ბოლოს მაინც მიაკითხავდენ მუშები კავშირს. რა თქმა უნდა, როცა გაუჭირდებოდათ და „ხაზეინებსა“ და მათ შორის საქმის გათავების შემდეგ კავშირის წყალობით მოსამსახურენი მაშინ მაინც შემოიტანდენ კავშირში ხვედრ გადასახადს, რაიცა ხშირათ მართლდებოდა.

ასე რომ ჩვენს მოსამსახურეებს ჯერ კიდევ საკმარისათ არ აქვთ შეგნებული თავიანთი კლასობრივი ინტერესები და მათი ინტერესების დამცველ პროფესიონალურ კავშირის არსებობის მნიშვნელობა. კრებაზე ერთმა ამხანაგმა ამის მიზეზათ გამგეობის წევრების უმოქმედობა დაასახელა, რაზედაც დანარჩენ ამხანაგებისაგანვე სათანადო პასუხი მიიღო. ჩვენ მიგვაჩნია ბრალი იმაში, რომ ნაკლებათ გვაინტერესებდა კავშირის საქმეები და ყველაფერი გამგეობის წევრებს დავაკისრეთ. საჭირო იყო თვითმოქმედება ჩვენი, წევრების.

მოხსენებიდან სჩანდა აგრეთვე, რომ გამგეობა თითქმის მთელ თავის დროს ანდომებდა მუშებს და ხაზეინებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების განხილვას და ამნაირათ იგი ცილდებოდა თავის პირდაპირ დანიშნულებას. ესევეა იმის მიზეზი, რომ შედარებით ნაკლები უმუშავნია მუშების კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. უთანხმოების ჩამოვარდნას „ხაზეინებს“ და მუშებს შორის ხელს უწყობდა კოლლექტიურ ხელშეკრულობის უქონლობა და ამიტომაც საჭიროა ეს [illegible] სახეში ახალმა გამგეობამ და პირველ თავის მოქმედების მიზნათ დაისახოს კოლლექტიურ ხელშეკრულობის პროექტის გამომუშავება და მისი ცხოვრებაში განხორციელება.

1918 წლის ხარჯში კრებამ შეიტანა ზოგიერთი შესწორებები. მაგალითად, სამკითხველო-ბიბლიოთეკის შესანახად 300 მან. მაგიერ 5,000 მან. გადასდო. მუშების ჯამაგირები 10,200 მანეთიდან 15,000 მანეთამდე გაადიდა და სხვა.

მოხსენების განხილვა-დამტკიცების შემდეგ კრებამ ამოირჩია გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები თავისი კანდიდატებით.

ნ. ოთარაშვილი.

## ტფ. გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ

ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მმართველი კომისიის სახელობაზე მოდის საჩივრები სახალხო მასწავლებლებისაგან თავ-თავის დროზე ჯამაგირების მიუღებლობის შესახებ.

ყოველ თვე მთელი გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის კომისია თავის დროზე იწერს ჯამაგირებს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ბევრ ადგილას მასწავლებლებს წარსული თვეების ჯამაგირიც არ მიუღიათ ფულის ნიშნების უქონლობის გამო. სამწუხაროთ, ამ დაბრკოლებასთან ბრძოლაში კომისია უძლურია. ფულის ნიშნების უქონლობას მწვავედ გრძნობენ არა მარტო პროვინციაში, არამედ თვით ტფილისშიაც: მთავრობის დაწესებულებათა ბევრ მოხელეს, მათ შორის, კომისიის ზოგიერთ წევრებს, ჯერაც არ მიუღიათ წარსული თვეების ჯამაგირი.

კომისიის თავმჯდომარემ პირადათ ინახულა სახალხო განათლების მინისტრი და აუწერა სახალხო მასწავლებლების უკიდურესი გაჭირვება.

სახალხო განათლების მინისტრმა მხარი დაუჭირა კომისიის შუამდგომლობას და წარუდგინა იგი ფინანსთა მინისტრს განკარგულების მოსახდენათ, რომელმაც თავის მხრივ დაგზავნა წინადადება პროვინციის ხაზინებსა და განყოფილებებში, უპირველესად სახალხო მასწავლებელთა დაკმაყოფილების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე პ. ჩარექიშვილი.
მდივანი ვ. ჯაფარიძე.

## რკინის გზაზე

19 მაისს სად. სანაინიდან № 5 ჯავშნიანმა მატარებელმა გამოაცილა ორი მატარებელი, ერთი დაჭრილების და მეორე ლტოლვილთა სად. აშაგა-სარელამდი. გავიარეთ სად. სადახლო მშვიდობიანათ. აშაგა-სარელში ის მატარებლები დავტოვეთ და წავედით წინ, რათა გაგვეგო არის სადმე რკინის გზის სიახლოვეს მტერი ან და თუ სადმე გზა არის აყრილი. ჩამოვედით 45 ვერსის „რაზიეზდზე“, რომელიც ითვლება საშიშ ალაგათ. ყველაფერი რიგზე იყო. დავათვალიერეთ ხიდი. როდესაც დავბრუნდით ისევ აშაგა სარელში, უკან გამოვყევით მატარებელი დაჭრილებით, 150—200 ფეხის მანძილზე მას უკან მისდევდა ლტოლვილთა მატარებელი. სად. სანდარში ჩამოვედით მშვიდობიანათ დაჭრილთა მატარებლით, მხოლოდ რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო ლტოლვილთა მატარებელი არ ჩანდა. გადავწყვიტეთ მაშინვე უკან, რომ შეგვეტყო, თუ რა მოუვიდა მას. 45 ვერსის „რაზიეზდზე“ მტერს [illegible] სროლა და გაეჩერებია ის. ჩვენ ეს შევნიშნეთ შორიდანვე, დაუწყეთ სროლა და გავფანტეთ თავდამსხმელნი. მისვლისას მატარებელთან ვნახეთ გზა და გზა 10—12 კაცი მკვდარი მათი მხრით, სხვები გარბოდენ, მათ ჩვენ დავუშინეთ ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველი, რითაც უკუ ვაქციეთ და მივაყენეთ დიდი ზარალი. აქ ჩვენ მოგვეშველა სომეხთა ეშელონი, რომელიც მიემგზავრებოდა ალექსანდროპოლისაკენ. ჩვენს მატარებელში არც მკვდარი და არც დაჭრილი არ არიან. არის მკვდარი ერთი ქალი; ძუძუ მწოვარა ბავშვით და ერთი ჯარის კაცი, არიან აგრეთვე დაჭრილებიც.

კ. წულაძე

## პროვინცია

წერილი კახეთიდან. ცივ-გომბორის მთის კალთებზე 16 მაისს მეტათ გულ შემზარავი ამბავი დატრიალდა. სოფ. ყარაჯალის (თელავის მაზრ.) მცხოვრებ თათრებსა და გომბორზე დასახლებულ ხევსურებს მოუხდათ ურთიერთ შორის მწვავე სროლა, რის შემდეგაც თათრების მხრით დაიხოცა 9 კაცი და 4 უგზო უკვლოდ დაიკარგა. საქმე შემდეგშია: სოფ. ყარაჯალის და გომბორზე დასახლებულ ხევსურებს შორის დიდი ხანია დავა აქვთ ერთმანეთში საძოვრების შესახებ. ეს დავა გრძელდება რამდენიმე წელიწადია და აქნობამდის ბოლო ვერ მოეღო. წარსულ წელს, სწორედ ამ დროს, ტფილისიდან საგანგებოთ მოსულმა კომისიამ ეს ორივე მხარე შეათანხმა, მოარიგა და პირობაც დაადებინა, რომ დავა ერთმანეთში აღარა ჰქონოდათ, მაგრამ სულ [illegible], ამ დავამ წელსაც იჩინა თავი და მწვავე ხასიათი მიიღო. ვიდრე ზემოხსენებულ რიცხვს (16 მაისს) თათრებსა და ხევსურებს შორის შეტაკება მოხდებოდა, 17 მაისს ორივე მხარე უნდა მოერიგებინა საძოვრების შესახებ თელავის მაზრის საადგილმამულო კომიტეტს, დაბარებულებიც ჰყოლია კომიტეტს თურმე ორივე მხარე სოფ. თეთრ-წყლებში.

ეს ამბავი ასე მომხდარა: ყარაჯალის შეძლებულ ოჯახიშვილებს, რომელთაც ბლომა საქონელი ჰყავთ და საძოვარიც მეტი სჭირდებათ, გაუგიათ, რომ გომბორზე მათს საბალახოებზე ხევსურებს თავიანთი საქონელი უძოვებიათ, გული ბრაზით აღვსებიათ, ოჯახიშვილები თავიანთი კომისრის დახმარებით 30 კაცამდე (ამბობენ ას კაცამდისო) იმ დღესავე შეიარაღებულები წასულან გომბორისკენ. ყარაჯალიდან წასული შეიარაღებული თათრები მისულან თუ არა ხსენებულ საძოვრებზე, შეუმჩნევიათ ხევსურების საქონელი. გაურეკიათ 100—200 სული საქონელი. მწყემსი ხევსურები ძალზე დასდგომიან თათრებს და ნება არ მიუციათ გარეკვისა, ამას მოჰყოლია სროლა თათრების მხრივ. თოფის ხმაზე ახლო-მახლო ხევსურების სოფლებიდან თავი მოუყრიათ შეიარაღებულ ხევსურებს და მათაც სროლითვე უპასუხნიათ თათრებისთვის. ხევსურებს მაინც დაუტოვებიათ საქონელი თათრებისათვის და ამის შემდეგ უფრო ცხარე სროლა ატეხილა ორივეს მხრივ. სროლა გაგრძელებულა 5—6 საათი. ამ თოფების სროლის ხმა ჩასულა სოფ. გომბორში (იქ რუსები არიან დასახლებულები 100 კომლამდე). ამ სოფელში ერთი ბატარეია ჯარი მდგარა წესიერების დასაცავათ. ბატარეის უფროსი წასულა სალდათებით სროლის ადგილზე და შეუტყვია, რომ ყაჩაღთა ბრბოს თათრებისას ხევსურების საქონელი მიჰყავთო, დასახელებულ საძოვრებისთვის შემოურტყამთ სალდათები, მოუმწყვდევიათ ყველა ეს შეიარაღებული თათრები და სროლა დაუწყიათ მათთვის (გომბორზე დაბანაკებული ბატარეია რუსებისაგან ყოფილა შემდგარი), სროლაში მონაწილეობა ხევსურებსაც მიუღიათ, საქმე გამწვავებულა, ნაწილი თათრებისა გაქცეულან, ზოგი სალდათებს დაუტყვევებიათ და თან წაუყვანიათ სოფ. გომბორში, ზოგნი დაუხოციათ, რიცხვით 9 კაცი.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს კახეთს. ხალხში შიში დაიბადა; მაზრის კომისარსა და საადგილ მამულო კომისარს რომ დაჰკითხებოდა ყარაჯალის კომისარი, ეს ამბავი შეიძლება, რომ არ მომხდარიყო; მით უმეტეს, მეორე დღეს საადგილ მამულო კომიტეტის საგანგებო კომისია უნდა წასულიყო საქმის მოსაგვარებლათ.

17 მაისს საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარე კ. სუხნიაშვილი და მაზრის კომისრის თანაშემწე აბაშიძე და სხვები გაემგზავრენ მილიციონერებით გომბორზე საქმის მოსაგვარებლათ, იქ დაუხვდენ ყარაჯალიდან წარმომადგენლები თავიანთ მასწავლებლის მეთაურობით, მაგრამ რაკი ასეთი გულშემზარი ამბები მომხდარიყო, მორიგება და თავის მოყრა ხევსურებისა ვეღარ მოხერხდა. მხოლოდ თათრებმა თავიანთი მიცვალებულები წაიღეს კომისიის თანადასწრებით. მაზრის კომისრის თანაშემწეს აბაშიძეს რამდენიმე მილიციონერის თანხლებით შემოუვლია იქვე მდებარე ხევსურების სოფლები და აღმოჩენილა, რომ შიშით მთელ ხევსურებს მიუტოვებიათ თავიანთი სოფლები, სახლ-კარი, საცხოვრებელი და ბაკებში დამწყვდეული საქონელი და გაქცეულან სხვა სოფლებში. ნაწილი ასე გაქცეულებისა შეხვდა აბაშიძეს შეუმჩნევია უღრან ადგილას, შიშველა იქ და საშინელი სურათი უნახავს: ძუძუთა ბავშვები, ფეხშიშვლები, ზოგი ტიტვლები და მშივრები 60—70 გამოქცეული ხევსურები უნახავს ცის ქვეშ წვიმაში, თან საქონელი ჰყოლიათ გამოსწრობილი. დიდი სიმწუხარე აუწერიათ ხევსურებს, გვიპატრონეთ ან დაგვხოცეთო, ესაა ცეცხლში ჩავცვივდითო. გომბორზე წასული კომისია, როდესაც დაბრუნდა, მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა სასწრაფო ზომები მიიღო უფრო მეტი უბედურების თავიდან ასაშორებლათ. მეორე დღეს, 18 მაისს, ნახევარი როტა ჯარისკაცები გაგზავნა თეთრ-წყლებში უბედურების თავიდან ასაცილებლათ, შეეკითხა სასწრაფოთ სოფ. გომბორზე დაბანაკებულ ბატარეის უფროსს საქმის დაწვრილებით გასაგებათ, მასთან იმავე დღეს მაზრის კომისარი გაემგზავრა სოფ. ყარაჯალაში თათრებთან მოსალაპარაკებლათ და დასამშვიდებლათ.

მაზრისავე აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა საადგილ-მამულო კომიტეტთან ერთათ სადავო საქმეს ყარაჯალელებსა და ხევსურებს შორის ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს და მოარიგონ ესენი, რისთვისაც ყოველივე ზომაა მიღებული.

სოფლელი ამხანაგი.

## ცნობები

ილია ალექსის ძე გოგიევი მსახურობდა ქ. ტფილისში მე-5 ქართველ მსროლელ პოლკში 1 რაზმში, რომელიც 25 თებერვალს გაიგზავნა ბათუმში. მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ იცით რამე მისი გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: ტფილისი, მე-8 უბნის სამმართველოში გიგა გოგიევს.

---

პეტრე ანტონის-ძე სიხარულიძე ქ. ბათუმის გოროდოკის მცხოვრები მსახურობდა ვოლნოოპრედელიაუშჩით კავკასიის მებრძოლ ჯარში მე-2 ყარსის საციხოვნო პოლკში, ქვეითა მზვერავთა „კომანდაში“, ბოლო ხანებში იყო სპარსეთში, როგორც გავიგეთ ეს პოლკი უგზობისა გამო დარჩა იქ ბოლომდე. ამ წლის მარტში უკვე ჩამოსულან ტფილისში. არ ვიცით მათი ვინაობა; ვთხოვთ ყველას ვინც იცის მისი ვინაობა გვაცნობონ შემდეგი ადგილებში: ქ. ტფილისი—ნავთლუღი ლაზარეთი № 33-ში ნოე ზ. ბოკუჩავასთან, სად. აბაშა. მოვაჭრე ბესარიონი კაჭარავასთან, გადასაცემათ ანტონ სიხარულიძეზე.

---

დაიკარგა 19 მაისს მგზავრობის დროს სად. გრაკალიდან ტფილისამდე უბის წიგნი, უვადო პასპორტი, იარაღის ტარების ნებართვა, მანდატი კოოპერატივისა და ფული 50 მ. მპოვნელს ვთხოვ დოკუმენტები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, წითელ-გვარდიელთა 1-ლი რაიონის შტაბი, ვარდენ მერაბაშვილს.

**ექიმი უკლაძიკოვი**
შინაგან და საბავშვო სნეულებიან ავათმყოფთ იღებს ყოველ-დღე დილ. 10—11 საათამდე და საღ. 5—6 საათამდე. მისამართი: დიდი-მთავრის ქუჩა № 67 (კიროჩნი ქუჩ. კუთხე).

**ექიმი მ. ვ. კალიაშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილით 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. [illegible] სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—3 საათამდე.

**ექიმი დ. ი. ჟორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელეფონი 14—37.

**ექიმი ნ. ა. ფოფხაძე**
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლ[...] ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებ[...] და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყ[...]ველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელ[...]ტრიზაცია და მას საჟი. მისამართი: მოსკოვ[...] ქუჩა № 11.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერ[...]ტეტისა.
შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილო[...] სნეულებითავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე დილის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უ[...]ხოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 სა[...]. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვი[...] აფთიაქის გვერდით.

**ექიმი ქალი რ. ა. შიშლო საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტე[...]სა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ [...]ლლეჯისა იღებს ყოველდღე შინაგან, ქალ[...] და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხა[...]ზით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახა[...] მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამ[...] 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ[...] 82. ტელ. № 3—97.

**სამკურნალო კაბინეტი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კაკალაძე**
მიიღებს კანისა, ვენერიულისა და სიფ[...] ავადმყოფებს. (914-ს და 606-ს შე[...]ნება). ავადმყოფთა მიიღება 5—8 საათამდ[...] ღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სას[...]რო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვ[...] სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩ[...] 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელე[...]ნი 17—49.

**ექიმი ბ. დოხნიძე**
ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინი[...] იღებს თვალის ტკივილების ავადმყოფე[...] დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათა[...] მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექი[...]

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმ[...]ფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საა[...]მდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

**დ. ხაჩხურეში ექიმის თანაშემწე ვ. ა. ლა[...]**
იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემ[...] ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სი[...]ლისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავი[...] უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამარ[...] რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის [...]ლებში.
**იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ბაბარჩნა-ლა[...]**
ლეზულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს [...] რიგებას.

**ექიმი ვ. ბ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინ[...] ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავადმყოფ[...] კანისა და ვენერიულის სნეულებით ყო[...] დღე 3—5 საათ. საღამოთი, გოლოვინის [...]ლის პირდაპირ, რაზმაძის ქუჩა, № 1[...]

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5[...] საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ტელ. № 5—77

# სახალხო სახლი

სახალხო სახ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე.
ხუთშაბათს 23 მაისს წარმოდ. იქნება: ნინოშვილის მოთხრობიდან გადმ. პ. ირეთელის მ[...]

# ქ რ ი ს ტ ი ნ ე

დრამა 4 მოქმედებათ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, ს. ანკარა, ელ. ბარათაშვილი, თ. გოგ[...]შვილი, ნ. ნინონი, ნ. ჯავახიშვილი, ბ.ბ. გ. ანაშვილი, ა. ბადრიძე, ნ. გოცირიძე, ალ. მ[...]ველი, ი. მინდიაშვილი, რ. სალუქაია და ვ. რატიშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 1 მან. 40 კ.-დან 35 კ.-დე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
შემდეგი წარმოდგენა 30 მაისს. რეჟისორი კ. მათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრ[...]

# 1000 საჟ. შეშა.

(მუხა, რცხილა და წიფელა)
იყიდება გამსაღებელ-შემძენი კოოპერატივთა კავშირში.
მისამართი, მოსკოვის ქუჩა 4. დილის 10—3 საათამდე. ტელეფ. 6—22. 3

# ქირავდება ოთხ-ოთახიანი ბინა.

აქვს საკუთარი აბანო, სამზარეულო, გალერეა და სხვ. ხელსაწ[...]
მიაქირავებენ მას, ვინც იყიდის თვით ბინის მოწყობილებას.
ორლოვის ქ. № 8. ზედა სართული.